# ცისკარი.

## 1865

### ივლისი.

## წელიწადი მეცხრე.

### წოდება თხზულებათა:

I—ნორმა, შემოკლებული ტრაგედია ორს მოქმედებაში. (ნათ.) გრიგოლ რჩეულოვისა.

II—გლახა და მდიდარი. (ლექსი).—დიმ. ბერიევისა.—

III—ჩუენნი დროების მწერლებს.—ღვიმელისა.

V—გათანასწორება სამკვიდრო მამულისა დედაკაცთა და მამაკაცთა შორის.—ბესარიონ ღლენტისა.

IV—სხუა და სხუა ანბავი (იხილე მეორე გვერდზედ.)

---

ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

# ნ ო რ მ ა.

შემოკლებული ტრაგედია ორს მოქმედებაში.

გრიგოლ ორბელიანისა.

ტ ფ ი ლ ი ს ი.

ქერესელიძის ტიპოგრაფიაში.

1 8 6 5

თბილისი

# მოქმედნი პირნი:

პოლიოსი, რომის პროკონსული ანუ სარდალი გალლიაში.

ფლავიო, მეგობარი პოლიოსისა.

ოროვეზი, უფროსი დრუიდებისა.

ნორმა, ოროვეზის ქალი, მონაზონთ უფროსი.

ადალჟიზა, ყმაწვილი მონაზონი.

კლოტილდა, ერთგული მოახლე ნორმასი.

ორი ყმაწვილი, შვილები ნორმასი და პოლიოსისა.

დრუიდები, მოლაშქრენი, ქურუმთ მსახურებნი სამღვდელონი მხედარნი.

## მოქმედება პირველი.

1) ტაძარი წარმოადგენს დრუიდების ტყესა. შუაში ჰსდგას მუხის ხე; სიღრმეში — ბორცვები. ღამეა. შორით მოჩანან აქა იქ ცეცხლები.

ისმის საკრავის ხმა და შემოდიან მხედრები, იმათ უძღვის დრუიდები და ხალხი ოროვეზო სამღუდელო-ებითა.

ოროვეზო გზავნის დრუიდებს აქა იქ ბორცვებზედა, თვალი და ყური დაიჭირონ როცა გამოსჩნდეს ახალი მთვარე, და უცხადებს, რომ ნორმა ჩქარა მოვა ღვთის მსხვერპლად გალიის განთავისუფლებაზედ რომაელთა-გან.

ყველანი იფანტებიან.

2) გამოდიან პოლიონი და ფლავი. პოლიონი ეუბნება რომ ძველი სიყვარულის ყინი ნორმასადმი განუქრა მას გულში; რომ იმან შეიყვარა მშვენიერი და უმანკო ადალ-გიზა; მაგრამ საშინელი ტანჯვა სვინიდისისა მას დაჰს-დევს. მე ვნახე სიზმარი, რომლის მოგონებითაც ჯერაც ვკანკალებ: მითომ ადალგიზა ჩემთან იყო რომში; ჩვენ გვირგვინით ერთად ვეწერეთ ტაძარში; უცებ ისმოდა ჯოჯოხეთის ყვირის გალობა, და მე მოსანთქმული ვიყავ იქვე უცებ[illegible]

ვიქრში.... უეცრად ჩუენ მთის ჩამოდგა რაღაც აჩრ-დილი და როგორც ღრუბელი, მოეხვია ადგილზსა; ცამ იწყო გრგვინვა, და დაბნელდა. მე შიშის ქარმა ამიტაცა; ადგილეგიზა განქრა და მე შემომესმა ეს საშინელი ხმა: «აი ტანჯვანი, რომელსაც ნორმა უგზავნის თავის ორგულს საყვარელებს.» —

მოისმის ზარის ვერა, რომელიც მოასწავებს, რომ მთ-ვარე გამოჩენილა და ნორმა ჩქარა მოვა. ჭოღიოხი და ქალები გადიან.

3) შემოდიან ღრუიდები, სამღვდელონი, მხედარნი და იმათ შუა ოროვეზი სრულ მღვრის ხომ, განსვე-ნება რომის მტრებსა გრიოდნაზე და ღრუიდები ეკვე-რებიან მას.

4) შემოდის ნორმა, თან მოსდევენ მას მონაზონები, თავზედ გვირგვინი ადგას, ხელში უჭერია ოქროს ნამგა-ლი. შეხვდება ღრუიდების ქვაზედ და გარემოს იხედება.

«ვინ ლაპარაკობს ომიანობაზედ? ვინ წინასწარმეტყვე-ლობს რომის მეფეზედ, რომელიც ჯერ დაფარულია ხალხის მეცნიერებისაგან? ჯერ არ მოსულა დრო იმისი ჯავრის ამოყრისა. მოვა დრო, როცა რომი წახდება, მაგრამ არა თქუენის ხელმწიფებისაგან, არამედ თავისივე ბიწიერებისა და გარყვნილებისაგან. ელოდეთ იმ დროს და ნუ არღვევთ მშვიდობიანობას.» —

ოქროს ნამგლით ნორმა სჭრის მუხის ხის ტოტებსა. სამღვდელონი ჰკრეფენ მათ და კალათებში ინახვენ. ნორმა და ამასთან ყველანი იჩოქებენ და ლოცულობს ნორმა:

«ქალწულო ღვთაებავ, რომელიც აგრეთვე ვერცხლის შუ-

ქით ამ ძველთ საღმრთო ხეებსა, მოაქციე ჩუენკენაც წმიდა, უღრუბლო სახე შენი; დაუმშჳდე ამათ დროებით სიფიცხე გულისა, და ჩამოგვიგზავნე აქ მიწაზედ ის სიმშჳდე, რომელიც მეფობს შენს გარშემო ცაში.

(ხალხსა). რომელსაც მრისხანე ღუთაება მოითხოვს რომაელების სისხლსა, მე გაცნობებთ მაშინა.

ხალხი. ეხლავე გვითხარ და არავინ გადურჩება სიკჳდილსა.

ნორმა. (ჩუმათ თავისთვის) პოლიონსაც მოჰკვლენ... მე შემიძლიან დავხსნა იგი.... მაგრამ გული არ მიშვებს. ოო, დამიბრუნდი ერთგული პირველის შენის. სიყუარულისა და შენის გულისათვის მე შევებმი მთელს ქვეყანასა. ოო. დამიბრუნდი მშუენიერო; შენს გულზედ ვჭმოვებ მე სიცოცხლესაც, მამულსაც, ბედნიერებასაც.... (ნორმა მიდის და მას მიჰსდევენ ქალდანი.)

5) ადალგიზა შემოდის მარტო. აქაურობა დაცლილა. წესი გადუხდიათ, და შემიძლიან, ქვეყნისგან უჩინავი, ამოვისუნთქო თავისუფლად იმ ადგილს, სადაც პირველად შევხვდი იმ რომაელს, რომელმაც ამღვრია ჩემის მოვალეობისაგან. უნებური ძალა მომიზიდავს აქა. მე ვხედავ იმის მშუენიერს სახესა; მესმის იმისი ციური ხმა.— «ჩამოჯდება დრუიდების ქვაზედ და ლოცულობს.

6) შემოდის პოლიონი.—რას ჰხედავ? შენ გიტირნია?

ადალგიზა. (შეკრთება.) მე ვლოცულობდი. ოო, განმშორდი, მალოცვე ერის წამსა. ნუ მიშფოთებ გულსა.

პოლიონი.. ავიცებს ადალგიზას სიყუარულის სახელობით დაარღვიოს თავისი აღთქმა და გაჰყვეს მას რომში.

ადალგიზა ირყევა მოვალეობასა და სიყ̂არულსა შორის, და ბოლოს ყიასნსმება პოლიონსა და აძლევს ფიცსა, რომ ხ̂ალ აქვე მოვა იგი.

7) ნორმას ოთახი. ნორმა და კლოტილდა ორის ყმაწჳლებით.

ნორმა. წაიყვანე დამალე ორივე. მე მეშინიან უალერსო ამათ. ათასი სხ̂ა და სხ̂ა ფიქრი ჰგლეჯენ ჩემს გულსა. მე კიდეც მიყვარან და კიდეც მძულან ჩემი შჳლები.... მე გული მტკივა ამათის ნახვით და უნახაობითაც. მე კიდეც მახარებს და კიდეც მაშინებს ამათი დედობა. პოლიონი დაუბარებიათ რომში... ო, თუ რომ ის მე აქ დამაგდებს!... თუ რომ ის დაივიწყებს თავის შჳლებსა!... ეს უცნობლობა მტანჯამს მე... ვიღაც მოდის. დამალე, დამალე ყმაწჳლები. კლოტილდა გადის და გაჰყავს ყმაწჳლები.

8) შემოდის ადალგიზა.

ნორმა. მოდი, მოდი ჩემთან ახლოს. რათა ჰკანკალებ? შენ გინდოდა რაღაც საიდუმლო გეთქ̂ა ჩემთჳს.

ადალგიზა. დიაღ- მაგრამ მოიხსენით მრისხანება სასიდგან. მომეცი ძალა სრულიად გარდვიშალო ჩემი გული.

ნორმა. მოდი მომეხვიე, და მითხარ რა მწუხარება გაწვავს.

ადალგიზა უტყდება, რომ მას უყვარს ვინმე და მიუცია ფიცი დაანებოს თავი თავის სამშობლო ქ̂ყანას.

ნორმა. ო, უბედურო! მითხარ როდის ან რა გვარად შეგპარვია შენ ეს ცეცხლი გულში?

ადალგიზა. ერთის შემოხედულობით, ერთის ამოხვრით მე განკაღმა ამიტანა.... ლოც̂ა გამიყინდა ტუჩებზედ.....

ნორმა. ოჰ, მოგონებავ!... მეც ერთის შესედულობით დამიპყრო მან გული.

ადალგიზა. ხშირად, მარტო, ქურდულად მელოდი ხოლმე მას წმიდა მუხის ქვეშ, და ყოველ დღესთან იზდებოდა სიყვარული ჩემი.

ნორმა მეც გამომიცდია ყოველი ეგე.

ადალგიზა. მოდიო, მეუბნებოდა იგი: ნება მომეც დავემხო შენს ფეხს ქვეშაო, მაყნოსე, დამათრე შენის სუნთქვითაო, ნება მომეც ვამბორო შენს შეუდარებელს გავებსაო....

ნორმა. ოჰ, ტკბილო ხმაო! მეც მაგეებს მეუბნებოდა იგი, მაგ გვარათვე იპოვა მან გზა ჩემის გულისადმი. —

ადალგიზა. აი რა გვარად დავიღუპე მე. მომარჩინე, მომარჩინე ამ ცეცხლს, ამ ამ სიყვარულს, ამ შერცხვენას...

ნორმა. მომიტევებია შენთჳს. გირღვევ აღთამასა, რომლითაც შეკრული ხარ. შენ ბედნიერი იქნები, რა შაერთდები შენის სიყვარულის საგანსა. მაგრამ მითხარ, ვინ არის ის ყმაწჳლი კაცი?

ადალგიზა. ის აქაური არ არის. იმისი ქვეყანა რომია.

ნორმა. რომი? რა ჰქვიან სახელად?

ადალგიზა. აი თჳთონ ის! მან მიუშჳრა ჴელი პოლიონზედ, რომელიც ამ დროს შემოდის.

ნორმა. (გაოცებით) პოლიონი? ამას ამბობ, ამას? ჰსწორეთ გავიგონე? ყურები არ მატყუებენ?.. (მიუბრუნდება პოლიონსა): შენ ჰსთრთი?... ვისთჳს?... ოჰ, ნუ კანკალებ ნუ ჰსთრთი ორგულო ამ ქალისათჳს... ეს არ არის დამნაშავე შენ, მხოლოდ შენა ხარ დამნაშავე. შენი თავისთჳს ჰსთრ-

წოდე ორგულო... შენი შვილებისათჳს, ჩემთჳს...

(მიუბრუნდება ადალგიზას.) რა სასტიკის, რა საძაგელის მოტყუების მსხვერპლი შექმნილხარ! სიკჳდილი გერჩივნა, ამის გაცნობასა: ამან გაგიჩინა შეუშრობელი წყარო ცრემლისა; ამან გადააფარა საშინელი შავი ღრუბელი შენის სიცოცხლის განთიადსა.

ადალგიზა. ოო, რა საშინელი საიდუმლო იხსნება ჩემს თვალწინ; ოო, რა უბედური ვარ!

პოლიონი. ჰსთხოვს ნორმასა შეიბრალოს ადალგიზა და ნუ გამოუცხადებს მას თავიანთ საიდუმლოს; ამის შემდეგ უნდა რომ გაგიდეს.

ნორმა. მოიცადე, ნუ მიეჩქარები. მე ვიცი რაც განზრახულება გაქჳს გულში. მაგრამ ნუ სტკბები ტყუილის იმედით. განა ადალგიზა ჩემს ხელში არ არის, ჩემს მონებას ქვეშ არ არის? —

პოლიონი. ამაოდ ნუ დამიწყობ ბრძოლასა. ყოველი წარსული ჩვენი მიმიცია დავიწყებასა; მე ეხლა მხოლოდ ეს (ადალგიზა) მიყვარს და კიდეც გავაპარებ აქედგანა.

ნორმა. თუ ეგრეა, კარგი, წადი; წაჰყევი მას ადალგიზას. წადი, წადი, გაიპარე ურცხვო; დაივიწყე შენი შვილები, შენი ფიცი, შენი პატიოსნება... ჩემგან დაწყევლილი, შენ ვერ დასტკბები შენის უწმინდურის სიყვარულით. ზღვის ღელვა და ქარი მოასწევინებენ შენამდი ჩემის ირისხანების ამოსკვნას; შურის ძიება ჩემი დღე და ღამ იქუხებს შენს თავზედ.

პოლიონი. ტყუილად მემუქრები შენ უბედურებით. სიყვარული ჩემი უძლიერესია შენზედაც, ჩემზედაც. წყე-

ულიმცა იყოს დღე, როდესაც შენ მომეც შენი თავი...

ადალგიზა (ნორმას). ოო, მე არ შევიქნები მიზეზი მაგ გვარის შენის უბედურებისა. დაე ზღვებმა და მთებმა განმაშორონ მე სამუდამოდ ამ ორგულსა. მე დავამარცხებ ჩემს მწუხარებას: მე მოვიკლამ თავსა, ოღონდკი ეს დაუბრუნდეს თავის შვილებს, დაგიბრუნდეს შენ.

მოისმის ზარის რეკა, რომელიც უწოდებს ნორმასა აღსასრულებლად წესისა. ნორმა ანიშნებს, რომ პოლიონი გავიდეს.

## მოქმედება მეორე

1) ოთახები ნორმასი. იმის შვილებსა სძინავთ ლოგინში. ნორმა შედის ხანჯლით და მძულვარების გამო პოლიონისადმი, უნდა დახოცოს იმის შვილები; მაგრამ დედობრიური გრძნობა უდუნებს მას გულსა. ნორმა მათ აღვიძებს, ცრემლიანი ესვევა მათ და ეძახის კლოტილდასა.

ნორმა. დამიძახე ადალგიზა. მე უნდა ჯერ გავასწორო ჩემი დანაშაული და მერე ისე მოვკვდე.

კლოტილდა გადის და მერე ადალგიზა შემოდის.

ნორმა უტყდება მას თავის დანაშაულში, აბარებს მას თავის შვილებსა და ეუბნება: გამიგონე, მე განმიზრახავს თავი მოვიკლა, მაგრამ ამ საცოდავებსაც ხომ თან არ წავიყვან; აიყვანე ეს ყმაწვილები და მიჰგვარე რომის ბანაკში იმას, რომლის სახელსაც ვერ გასხენებ; დაე გახდეს ის შენი ქმარი.

ადალგიზა. ჩემი ქმარი? ოო, არას ოდეს, არას ოდეს!

ნორმა. გევედრები იმის შჳლებისათჳს, წაიყვანე შენთან; იყავ ამათი პატრონი, ამათი მფარველი.

ადალგიზა. არა, მე მაგ ყმაწჳლებს შენ ვერ მოგაშორებ, მაგრამ რომაელების ბანაკშიკი წავალ და ვეცდები განუღვი-ძო პოლიონს გულში მქელი სიყვარული შენისადმი.

ნორმა.—როგორ, კიდევ დავიახლოვო მე ისა? ვჰსთ-ხოვო მე იმას ძალა გამოლეული სიყჳარული? არასოდეს, არასოდეს!

ადალგიზა. დახედე ნორმავ ამ ყმაწჳლებსა; ესენი მაინც შეიბრალე, თუ მე არ გებრალები.

ნორმა. ოო, რისთჳს ცდილობ შეარყიო ჩემი განზრა-ხვა? აღარც ალერსი, აღარც იმედია გულისათჳს, რომე-ლიც ემზადება სასიკჳდილოთ. იმას მხოლოდ შენღა უყ-ვარხარ.

ადალგიზა. ეხლა ის სინანულშია მაგისათჳს.

ნორმა. შენა?

ადალგიზა. მე მიყვარდა ის, მაგრამ ეხლა მხოლოდ ერთს მეგობრობას ვჰგრძნობ მასთან.

ნორმა. და ახლა შენ გინდა, რომ....

ადალგიზა. დაგიბრუნო შენი უფლებანი იმაზედ, ანუ მეც შენთან მოვჰკჳდე.

ნორმა. შენ დამამარცხე; მომეხვიე; მე კიდევ მყოლია ერთგული მეგობარი.

ადალგიზა. უკანასკნელს სიცოცხლის წამამდინ ჩჳენ ვიქნებით განუშორებელნი. შენთან მე ყველა მწუხარებას ავიტან, რომელსაცკი ბედი მომაყენებს. (გადიან.)

ვერანა ალაგი დრუიდების ტყეში. გალლების მხედარნი.

შემოდის ოროვეზი.

ოროვეზი. მხედარნო! ცას არა სურს გვიშველოს ჩუენს კეთილშობილურს განზრახვაში. პოლიონი მიდის რომში, მაგრამ იმის ალაგს მოდის უფრო საშიში სარდალი.

მხედრები. ნორმა რას ამბობს? ისევ მშჳდობიანობას გვირჩევს?

ოროვეზი. მე ამაოდ ვეკითხებოდი მაგაზედ ნორმასა; იმას თითქოს დავიწყებია თავისი თავიცა და ჩუენცა. მგო-ნია ღმერთები არ ატყობინებენ მას თავიანთ საიდუმლო-სა... ჩუენ უნდა დავუმორჩილნეთ ბედსა; მოვა დრო, როდესაც დაფარული ჩუენს გულში შურის ძიება განი-ღვიძებს ერთი ორად მრისხანების ძალით.

მხედრები. ჰო, დავიფაროთ დროებამდის ჩუენი გრძ-ნობა; მაგრამ ვაი რომსა, როცა მოვა ჟამი ბრძოლისა.

ტაძარი კერპებისა. ნორმა შემოდის. ჰო, ის მოვა; ის დამიბრუნდება მორჩილებით, სინანულით, სიყუარულით. მე ახლადვე მიუვავის ბედი.

ამ დროს შემოდის კლოტილდა და ეუბნება, რომ ადა-ლგიზას ვერ დაუმორჩილებია პოლიონი და ეს ჰფიცავს, რომ იმას გავაპარებო.

ნორმა. ადალგიზა მეტად იმედეულობდა. მაშ ეხლა შე-იტყოს პოლიონმა ჩემი შურის ძიებაცა. დაე ეს ადგილე-ბი მოირწყან რომაელების სისხლით. ამ სიტყვებთან ნო-რმა ჰსცემს ჩაქუჩით ფარსა.

ამ ხმაზედ ოროვეზი, დრუიდები, ხამლუდელონი შე-მოცვივდებიან ყოვლის მხრით.

ოროვეზი. რა ბრძანებას გამოგვიცხადებ ღუთისას, ნორმავ?

ნორმა. ომს, სისხლის ღვრას, აოხრებასა.

ოროვეზი. შენ ქხლასან მშჳდობიანობას გვირჩევდი.

ნორმა. ახლავე ომს, საშინელს სისხლის მჩქეფარე ომსა. დასძახეთ საომო სიმღერა.—

მღერიან ომზედ, სისხლზედ, შურისძიებაზედ, სიკუდილზედ და რომაელების წახდენაზედ.

ოროვეზი. რა საღმრთოს თხოულობენ ღმერთები, ნორმავ?

ნორმა. საღმრთო ქხლავ იქნება.

ამ დროს შემოვარდება კლოტილდა და ეუბნება, რომ ერთი რომაელი შევარდნილა ქალწჳლი მონოზნების სახლში.

ნორმა (ჩუმათ თავისთჳს.) ის ხომ არ იქნება.

მხედრებს შემოჰყავთ შეპყრობილი პოლიონი.

ნორმა მე უნდა ჩემის ხელით მოვკლა ეგა. ნორმა არ-იძლევს ოროვეზს ხანჯალსა, მიასლოვდება პოლიონსა, ირ-ყევა დასცეს მას ხანჯალი და ყველას უბრძანებს მოშორდ-ნენ, მე მინდა გამოვკითხოვო, ვინ არის ამასთან დამნა-შავე მონოზანი. (ყველანი გამოდიან.)

ნორმა (მარტო პოლიონთან.) დასასრულ შენ ჩემს ხელში ხარ; მარტო მე შემიძლიან შენი განთავისუფლება. გამიგონე: დაიფიცე ღვთის სახელობით, შენის შჳლების სახელობით რომ ამ წამიდგან შენ იწყებ მორიდებას ადალგიზასაგან, რომ შენ იმას არ მოიტაცებ, არ გააპარებ... და მე მაგის-თჳს მოგანიჭებ სიცოცხლეს და აღარასოდეს თვალითაც აღარა გნახავ. შემომფიცე.

პოლიონი. არა, არასოდეს არ დავიმდაბლებ თავს მა-გამდინ. სიკუდილს ვირჩევ მაგას.

ნორმა ემუქრება ჯვარის ამოყრით მასზედ და ყველა რომაელებზედ, იმის შჳლების დახოცვით და ადალგიზას სიკჳდილით.

პოლიონი. ოჰ. წამართვი მე სიცოცხლე, მაგრამ ადალგიზასკი ნურას ერჩი-

ნორმა. ძლივს არა მთხოვ, შე უბედურო! მაგრამ გვიან არის: იმის სიკჳდილით მოგკლავ შენცა. მე ადრევე ვჰსტკბები შენის მწუხარებით, შენის ტანჯვით. ახლა მეც შემიძლიან და მინდა კიდეც გაგხადო ისეთივე უბედური როგორც მე ვარ.

პოლიონი. მიყურე: მე ვჰსტირი შენს ფეხ ქვეშ. მხოლოდ მარტო ჩემზედ გარდმოიღე შენი მრისხანე შურის ძიება; რას ემართლება იმ უმანკოს, იმ უბრალოს ქალსა. შენის მრისხანების გასაგრილებლად, მე ჩემს თავს დავიკლავ შენს თვალწინ. მომეცი ხანჯალი.

ნორმა უწოდებს სამღჳდელოთა, მხედრებს, ოროვეზს. გამძლევთ ახალს საღმრთოსა. მონოზანს დაურღვევია თავისი აღთქმა, უორგულნია მამულისათჳს.

ოროვეზი. ოჰ, დანაშაულობა! აანთეთ დიდი ცეცხლი. ვინ არის, გვითხარ სახელი იმ მონოზნისა.

პოლიონი. (ჩუმათ) გევედრები ნორმავ.

ნორმა (თავისთჳს). მე ვარ დამნაშავე და უბრალოს როგორ დავაბრალო.

ყველანი. ბრძანე, ნორმავ, ვინ არის დამნაშავე მონოზანი?

პოლიონი. (ჩუმათ.) ნუ გამოაცხადებ.

ნორმა. მე ვარ—დამნაშავე.

ყველანი (გაოცებით). შენა, ნორმავ?

ნორმა. მე, მე! მომამზადეთ მძაფრი ცეცხლი! (არავის არა ჰსჯერა.) ნორმა არ გატყუებთ თქჳჱნა.

ოროვეზი. ოო, სირცხვილი ჩემთჳსა!

ნორმა. (პოლიონს). გაიგე ეხლა რა გულს უღალატე შენა, რა გული დაღუპე შენა. ამაოდ გინდოდა შენ გაქცეულიყავ ჩემგან; შენ იყავ ჩემთანა რჩები. ბედს უნდოდა შევერთებულვიყავით ჩჳჱნ სიცოცხლითაც და სიკჳდილითაც. ცეცხლშიც, რომელიც შთამთქჳამს მე, და თჳთ საფლავშიც მე შენთან ვიქნები.

პოლიონი. ოო, გვიან გიცან შენ. ჩემი სიყჳარული და ტანჯჳა სინიდისისა ეხლა უმეტესად გამიძლიერდნენ. დაე სიკჳდილმა შეგვაერთოს ჩჳჱნა; უკანასკნელი სიტყვა ჩემი იქმნება—შენი სიყვარული; მაგრამ შენც ნუ ჩაიყოლიებ საფლავში მძულვარებას ჩემდამი. მომიტევე სიკჳდილის წინათ.

სამღჳდელონი და ოროვეზი ჰსთხოვენ ნორმას, რომ უარი ჰყოს თავის სიტყვებსა.

ნორმა. (მოეგება გონებაზედ.) ღმერთო! ჩემი შჳლები?

ოროვეზი. შენ დამნაშავე ხარ?

ნორმა. ჰო, უმეტესი, ვიდრე შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ.

ოროვეზი. ოჰ, უწმინდურო!

ნორმა. გამიგონეთ, გამიგონეთ, მე დედა ვარ.

ოროვეზი. დედა ხარ შენა! შვილები გყავს?...

ნორმა. გაჩუმდი; ჩემი შვილები კლოტილდასთან არიან; გამოართვი, დამალე ისინი ამ ბარბაროსების მრისხანებისაგან.

ოროვეზი. არას ოდეს, დამეხსენ მე! შენ ჩემი შვილი არა ხარ!..

ნორმა. მამაო!.. ერთი თხოვნაც...ნუ შეჰსწირავ მათ მსხვერპლად ჩემის უბედურის შეცთომილებისათჳს.... ნუ მოსპობ იმათ უმაწვილ სიცოცხლესა... იფიქრე, რომ მათში შენი სისხლია... მამაო, შენ ჰსტირი!

ოროვეზი გული მეგლიჯება.

ნორმა. იტირე და მომიტევე

ოროვეზი. სიყვარული მერევა.

ნორმა. ოო, მიტევებ, შენი ცრემლი მეუბნება მე მას... სურვილი ჩემი ღსრულდება: არა ვითარი მწუხარება არ მიმაქვს საფლავში. სამღვდელონი ამზადებენ ცეცხლს დასაწველად.

ოროვეზი. მიდი, უბედურო, ჩავარდი.

ნორმა მშვიდობით, მამავ!.. პოლიონ! შენი საფლავიც ეს არის. მოდი გაბედვით.

პოლიონი. აქ იწყობა წმინდა, სამღრთო, საუკუნო სიყვარული. (ცვივდებიან ცეცხლში და იწვიან.)

ოროვეზი. იდინეთ ცრემლნო, იდინეთ: ნება აქვს მამას ცრემლის დაღვრისა შჳლზედ.—

ფარდა ჩამოეფარება.

დასასრული.

## გლახა და მდიდარი.

გ ლ ა ხ ა.

გამიკითხე ბატონო, ღმერთმა შენ გაგიკითხოს—
და შენს ცოდვებს აღარა გკითხავს!

მ დ ი დ ა რ ი.

რაო? მე რა ცოდვა მაქვს, ვით ჰბედავ თქმასა,
ან როგორ იღებ შენ ჩემ წინ ხმასა!
როგორ გაჰბედე შენ აქ შემოსვლა
და ამ კიბეზე—ჩემთან ამოსვლა!

გ ლ ა ხ ა.

არა მაქვს სახლი, არა მაქვს კარი,
მარამ ვინც არის შენებრ მდიდარი,—
ყველასთანა ვარ მე კადნიერი,
ყველას ვებრალვი გლახა მშიერი!

მ დ ი დ ა რ ი.

ვინ ხარ რას ამბობ, ვინ მოგცა ნება,
სადაც გინდოდეს შეხვიდე სახლსა!
მეტადრე ასე—ასე უცებ—
და კიდეც მადებ რაღაცას ვალსა!

თბილისი

გ ლ ა ხ ა.

მე ვარ გლახაკი, თუ გამიკითხო,
ღმერთი მაგიერს მალე გარდგიხდის!
გიჟობს ვინა ვარ აღარა მკითხო—
თორემ სიმდიდრეს წუთშივე—მიგხდის!

მ დ ი დ ა რ ი.

ეჰე! უნდა გცემოთ ამ გლახასა,
როგორ უბედობს ჰხედავთ რასა?
მე რა ცოდჳა უნდამქონდეს—
რომ ჩემი სული დაღონდეს!

გ ლ ა ხ ა.

მე მშიერი ვარ ლუკმას გთხოვ,
შენ მე მიქადი წყრომითა,
ცემას, ტანჯჳას უდიერს—
ცუდისა გულის წყრომითა!
მე კვალად გთხოვ გამიკითხო—
ვითა ჰშჳენის მდიდარს კაცსა,
დაგარწმუნებ ვეღარ ჰნახო—
შენი გლახა ერთსა წამსა!

მ დ ი დ ა რ ი.

გამეხარდა ოდეს მითხრეს:
გლახაკები დაიჭირეს,
რათგანც ჩემებრ მდიდართ კაცთა—
იმათ საქმე გაუჭირეს,
გამართესო საგლახაკო—
ყველანი იქ შეაზირეს,
ამათი ასე ტანტალი—

ყველა სახლში შეამცირეს!

ეს გლახაკი უშველათ, მუნითგან არს წამოსული,
გამოპარვით გამოსული და წანწალით აქ მოსული!
ბიჭო ეხლავ წაიყვანე, დაავიწყე სახლის კარი,
ჩააბარე თუ რომ შაგხვდეს გზაზედ ჩუ̂ენი აფიცარი,
ასე უთხარ ბრალს შენ დაგდებ, თუ რომ კუ̂ალად აქ მინახავს,
და თუ მოვა ცემის-მეტსა ჩემგან სხუ̂ასა ვერას ჰნახავს!

გ ლ ა ხ ა.

რას მემართლები ცემასა, ანუ ამ გუ̂არ პატიმრობას,
რათ იწუნებ ჰი მდიდარო, ჩემსა შენთანა სტუმრობას!
როგორც გატყობ არა ჰგევხარ ღ̂თის მოყუ̂არე კეთილ-
სულსა,
არ გაიკითხავ გლახაკსა, არ იმეტებ ერთსა ფულსა!
ცხადათ ჰხედავ არ მივარგა არცა ფეხი არცა ხელი,
დავრდომილი და საბრალო შენგან წყალობას მოველი!
გარწმუნებ ჩემო მდიდარო! განქრება შენი ყოველი,
მერე გულითაც გინდოდეს არ იყო გლახის მშოველი!

მ დ ი დ ა რ ი.

როგორც ჰხედავ ჩემს სიმდიდრეს. ყოველთჳს ასე იქმნება,
თუ რომ შამწყევს მადლი ღ̂თისა, განგებისა არის ნება,
შენკი აგრე იწანწალებ, თავს მოგერტყმის ჭირი, ვნება,
არცა აქა არცა იქა... არ გექმნება მოსვენება!

გ ლ ა ხ ა.

ჰი ბრმაო, უბადრუკო, შენ აქვე ხარ წაწყმენდილი,
პურს ვერა ჰსჭამ ფიქრისაგან დღე და ღამე არ გაქვს ძილი,
პასუხი მეცი მდიდარო, აბა რით ხარ კმაყოფილი?
მაშინახარ მხიარული, თუ დასწამო ვისმე ცილი!

მ დ ი დ ა რ ი.

კიდევ არ იშლი გველობას ჭსუდავ ცდადად იტანჯები,
თუ გლახა ხარ აქ მოსულხარ და წყალობას მეაჯები;
მაშა მთხოვე როგორც გლახა, აბა რას ჰგავს ეგ ამბები—
აგრე უშიშრად, თამამად როგორ მელაპარაკები?

გ ლ ა ხ ა.

რათგანც არ გაქვს შებრალება საწყლისა და გლახაკისა,
ეგ სიმდიდრე რაცა გაქვს, სრულად არის ეშმაკისა,
ეს სოფელი სიზმარია, განჰქრება ყველა უეცრად,
და შენ მაგ შენის გონებით დაჰშთები ყველთვის უმეცრად!
ნუ თუ არ უნდა იცოდე, ერთბამად დავიბადენით?
ნუთუ არ უნდა იცოდე, ერთბამად დავიმარხებით?
მაშ რითა ხარ ჩემზე მეტი, ანა ხარ ღმერთი მაღალი,
შენცა ჩემებრივ გლახა ხარ შენცა ჩემებრივ მდაბალი.
როს მოკუდები ეგ სასახლე, ეგ დიდება სხუას დარჩება,
შენკი უსამართლოება, უგრძნობელობა შაგრჩება,
სიკუდილის დღეს ამას იტყვი: მინდა გლახა გავიკითხო;
მარამ ველარსადა ჰპოვო თუმცა ბევრი მოიკითხო!
რადგან მცნებას არ ასრულებ, რასაც ღმერთმა განგვიწესა.
თუ ასრულებ აბა როგორ? მაშ რასა ჰგავს აბა ესა!
დამერწმუნე არ შაგრჩება, გარს მოგერტყმის ტანჯუა, კვნესა.
და იქნება ეგ სიმდიდრე დარჩეს შენსა აქიმებსა!

მ დ ი დ ა რ ი.

ზიზღო გაუგონარ ვინ არის, ეს უმსგავსი, საძაგელი,
დილას აქეთ დგას და ყბედობს, რომ აღარ აიღო ხელი?
სასიკუდილოთ თავსა მაძლევს, როგორც მსამიანი ველი.
არ მინახავს არასოდეს მე ამ გვარი გაუზდელი!

## გ ლ ა ხ ა.

ბრიყვი ვარ და გაუზრდელი, მართალსა ამბობ მდიდარო,
მებრალები საცოდაო სიცოცხლითა აქვე მკჳდარო.
რა ხარ ნეტა რისა მსგავსი დაფიქრდი აბა საწყალო,
შენი საქმე სულ ის არის, გადასთვალო-გადმოსთვალო, (ფული)
თუ ვინმე გააჩხაჩუნა, შენ უეცრად წამოხტები,
იქით აქეთ იყურები ხან დასდიხარ ხან დასჯდები,
ზედ კალთას გადააფარებ და უეცრად დაფიქრდები—
აი ამ გვარის ტანჯვითა ივაგლახი ასე კვდები!
ამოიოხრებ ისეთსა, გულ ღვიძლი თან ამოგყვება,
ისე მოჰკვდები მდიდარო, ვერ მოგასწრან ზიარება;
მაგრამ რას გარგებს სიწმიდე, ოდესაც ხარ უწმინდური,
არ გაიკითხავ გლახაკსა, გშურს იმისთჳს ლუკმა პური!
ეგ ფული და ეგ დიდება, როგორც გითხარ სხჳას დარჩება,
და ეგ მსუქანი მუცელი, შავს მიწაში ჩაიდება!
ამას გირჩევ შენის ჴელით, ვიდრემდისინ ხარ ცოცხალი.
გაიკითხო ქვრივ-ობოლი და გლახა ჩემებრ საწყალი!
თორემ შემდეგ სიკჳდილისა, არას გარგებს საწირავი,
არცა გლოვა ნათესავთა, არცა მათი ძაძა შავი,
მაშინ ამ შენს სასახლეში, შაიქმნება ის ამბავი—
რომ ჩხუბობდენ, იტაცებდენ გაგილანძღონ შენ საფლავი.

## მ დ ი დ ა რ ი.

ღმერთო ჩემო! იქნება გლახის სახითა, ანგელოზი
მომევლინა?

დაფიქრდა და მოიწყინა, აკანკალდა შაეშინა,
არ იცოდა რაჲ ექმნა ეტირა თუ მოელხინა,
მდიდარს ამა ვაებაში, უცებ სკამზე მიეძინა!

ხიზმარშია მას ეჩვენა, მეტად რაღაც საოცარი,
სახლი იყო ქვესკნელშია არსად უნდა იმას კარი;
იმაში კუბში იწოდა, სული ჰქონდა შესაზარი,
მიიყვანეს ასე უთხრეს შენი ბინაო ეს არი!

მდიდარი მოთქმით ტიროდა, ვინ ჩამამგდო ქვესკნელსა,
არსად ცა ჩანს არც ღრუბელი, საშინელსა ვხედავ ცეცხლსა!
ვისა ვსთხოვო, ვინ მიშველის, განმაშოროს ბედსა ძნელსა-
უბედურსა შემთხვევასა და საშინელს განსაცდელსა!

გლახა წინ გამოესასა, უთხრა სად არის დიდება,
რომ შენს გაჭირებაშია, შენ ის არ გამოგადგება,
სადა გაქუს მძვინვარე გული, აქაც არ აგიღელდება;
მარამ ვაი შენი ბრალი, აქ ყოველივე განჰქრება!

სად არის შენი სასახლე, სად არის ვერცხლი, დიდება.
მოხმარება არ იცოდი აი ახლა ეს გიხდება;
ვერ გიშველის ვერაფერი, ვერცა ღუდელი ვერცა ბერი,
გლახა რომ არ გაიკითხე აი იმის მაგიერი!...

მ დ ი დ ა რ ი.

დავიჯერო ჩემს ცხოვრებას, ჩემს დიდებას ვეღარ ვნახავ?
თუ მიშველი შენ გაგიყოფ ჩემო ძმაო ჩემო გლახავ,
ოღონდ აქედან დამიხსენ ჩემს კაცობას მაშინ ჰნახავ.
გარწმუნებ ჩემს მეგობრობას შენ შენ გულში დაისახავ!

გ ლ ა ხ ა.

მაშინ რატომ არ ამბობდი როს გენუკოდი ლუკმასა,
შენ მე მითხარ რათ მოსველო, ანუ ვითა იღებ კმასა!
მე გამგზავნე საპყრობილეს ჩამაბარე ათვიცარსა,
ცემა მიქადე რისთჳსა? საცოდავსა ბედით შავსა.

### მ დ ი დ ა რ ი,

თუ მცოდნოდა სადმე არის ეს უფსკრული ჯოჯოხეთი,
ანუ ასე გამიწყრება შემოქმედი ჩემი ღმერთი,
მერწმუნე ჩემს ცხოვრებასა, მე შენ ძმურად გაგიყოფდი,
და იმა გულის წყრომასა, მე შენზედა არა ვჰყოფდი!

გიაჯები, გევედრები მე დამიხსნა ამა ცეცხლსა,
გეფიცები სულ შენ მოგცემ, ჩემს სიმდიდრეს ჩემსა ვერცხლსა!
სასახლეს შუა გაგიყოფ, აღგისრულებ საწადელსა,
შევინანებ რაცა ვჰქმენი იმ საქმესა საძაგელსა!

### გ ლ ა ხ ა.

მე არ მინდა არცა ვერცხლი, არც სასახლე, არც დიდება,
ვჰსწუხვარ შენსა შეცდენასა მე, როდესაც მაგონდება.
შენზედა ეს სასჯელი, ჰხედავ არის ღმრთის განგება,
აბა ჩემო საყვარელო, ახლა რაღა გეშველება!

საშინელის ვაებითა ტიროდა ჩუენი მდიდარი,
და ოდეს გამოეღვიძა ნახა რომ იყო სიზმარი!
გაეხარდა ღმერთს მადლობდა, გამოისახა პირჯუარი,
ქებდა აღარსად იყო გლახა თვისი მეგობარი!

ფიქრმა მოიცვა მდიდარი, სასახლეში დადიოდა,
უყურებდა სიმდიდრესა—სტიროდა იტანჯებოდა,
გლახსა რათ არ გავიკითხე, ამ ფიქრში იგი კვდებოდა
არ ესმოდა ვით შაშლილი, არ იცოდა რას ჰშვრებოდა!

იჯდა ხავერდის კრესლაზე, ჰსურდა ფული დაეთვალა,
მერე ისევ ადგა ზეზე, დავსთვლი მერე თუნდა ხვალა;
მარამ სულის ამომხდელმა, საწყალს აღარ დააცალა,
სრულს სიმდიდრეს მას აძლევდა, მაინც აღარ შაიწყალა!

რა შაიქმნა ხმა ტირილის, ჩუენი გალხა იქ მორბოდა,

რა დაჰხედა მან მდიდარსა, დაღრომით ეუბნებოდა:
აკი გითხარი ბატონო, ეს ცხოვრება სხჳას დარჩება,
შენი მსუქანი მუცელი შავს მიწაში ჩაიდება!
ვერ გიშველის შენ ეს ეზო, ვერცა დიბა, ატლასები,
სიზმარშია როგორც ნახე სწორეთ იმ ადგილს დასდგები!
ვერ გიხსნიან: ვერცა ცოლი, ვერცა შენი მეგობრები,
შეგიწყალოს შემოქმედმა მეკი ამას ვევედრები!

მდიდარო იცი, ხარ მომაკჳდავი,
მაშ იყავ ღჳთის—გულით მოსავი,
ყოვლი სიმდიდრე სულ აქ დაშთება
კეთილი მხოლოთ შენ თან გაჰყვება!

დიმ. ბერიევი.

1862 წელსა. ქ. ტფილისი.

# ჩუ̂ენი დროების მწერლები.

## II

„თუ რომ მართლა, ლიტერატურა ხალხის ჭკუის და გრძნობის გახსნილების სასწორი ანდა ზომაა,; მაშინ ამ-გვარი სიმართლე ანდა ჭეშმარიტება სასიამოვნო გასაგონი არ არის, რადგანაც ქართული ლიტერატურა ისეთი მდგ-ომარეობაშიდ, იმყოფება, რომ არა გგონებ მთელი დედამიწის ზურგზედ მოინახოს კიდევ მსგავსი ღარიბი, ღარ-ტაკი, დაცემული ლიტერატურა. არ არის ეჭვი, რომ ამ გვარი ჩუ̂ენგან თქმისათვის, ზოგიერთი ბატონები გვიბ-ძანებენ ღიმილით:,, შენ რომ ძველი ლიტერატურა გეკი-თხოსო და იცნობდეო ჩუ̂ენს ძველს მწერლობასაო, მაშინ მაგასაც არ იტყოდიო.» უჰ̂მ, ძველი ლიტერატურა! რა ძველი ლიტერატურა? ის ლიტერატურა დაძველდა! იმ ლიტერატურამ თავისი ჭური მოჭამა! ეგ არის ჩუ̂ენი უბე-დურებაც, რომ ჩუ̂ენ ძველი ლიტერატურა არა გვაქუ̂ს, რუსთაველის «ვეფხვის ტყაოსანს» გარდა; და სხუ̂ა რაც ჩუ̂ენს

ხელადაა, იმაზედ ჩუენ ვიტყვით, ძალიან სუსტი და უნამ-
ყოფო მწერლობაა. ჩუენის გონებით და შესედულებით
(რომელზედაც ეჭვიც არა გვაქუს)· ლიტერატურა ხალხის
ოცნებას, დიდებას, სიცრუვეს, გარყვნილებას, ბიწიერებას
და სისაძაგლეს კი არ უნდა მსახურებდეს, ხალხის ჭეშმა-
რიტის გზის მაჩვენებელი უნდა იყოს. თუ არა, ნუ
თუ ის ლიტერატურა, რომელიც ზემოხსენებული ჩემი
სიტყვების გამომხატველი ან და წარმომდგენელია, იმას
ლიტერატურა ერქუას?

ხალხისათჳს ლიტერატურა ის არის, რაც ძალიან ბნე-
ლს ღამეში კარგი სინათლიანი ფანარი. ულიტერატურო
(ან და უჟურნალო) ხალხი, ამ ჩუენს დროში რა ხალხი-
უნდა იყოს? ან და რა კეთილი მდგომარეობა უნდა ჰქონდეს?
ულიტერატურო ხალხის მდგომარეობა, იმ მოგზაური
კაცის მდგომარეობას მიემსგავსება, რომელიც საშინელი
წვიმიანი ბნელს ღამეში არ იცის რა ქნას, მხო-
ლოდ ერთს უმაღლეს განგებაზედ აქვს იმედი. მაგრამ
როცა წვიმის წყალი დიდ ქვებს მოაგორებს, და გარემემო-
ადგილებს ააოხრებს, წარმოიდგინე მკითხველო, თუ რო-
გორი უნდა იყოს, იმ წუთის სანს, იმისი მდგომარეობა,
როცა თვალით ვერაფერს ხედავს, არ იცის საით წავიდეს,
ყოველი ბიჯის გადადგმისა ეშინიან, რომ საფრსხეში
არ ჩავარდეს. თითქმის ფოთლის შრიალისაც ეშინიან და
იმედი მხოლოდ სინათლეზედა აქვს, რომ თავი გაჭირ-
ვებიდგან იხსნას. ვისაც ამ გვარი მდგომარეობა არ გამო-
უცდია ძნელად შეუძლიან წარმოიდგინოს იმისი მწუხარე-
ბა, როგორც მწუხარება, ისე — მხიარულება, როცა იმ

გვარ მდგომარეობაშიდ მყოფი კაცი სინათლეს დაინახავს. რაც შორს უნდა მოჩანდეს, მაინც სინათლის დიდი იმედი აქუს, მაშინ ის უშიშრად შეუდგება მსვლელობას, რომელიც აქამომდის არ შეეძლო. გვიან თუ ადრე მივა იმ ალაგს საიდგანაც სინათლე მოჩანდა, წარმოიდგინე საყვარელო მკითხველო, თუ როგორი იქნება მაშინ იმის მხიარულება, პირველი, რომ სიკუდილს გადარჩა, და მეორე რომ აღარაფრის ეშინიან იმისათჳს, რომ იმას თვალი ამხელილი აქვს და სინათლის საშვალებით შეუძლიან ყოველი გაჭირებას ასცილდეს. მაგრამ ჩვენს ძველს ლიტერატურაშიდ, თუ რომ შეიძლება ასე ვსთქუათ, ჭეშმარიტების ნატამალსაც ვერ ვიპოვით, რომ გამოსადეგი იყოს ამ ჩუენი კურთხეული საუკუნისათჳს. თუმცალა უ. ჩუბინაშჳლი და ერთი უწარჩინებულესი ქართულის მიწის შვილის კრიტიკოსი! პოულობენ დიდ და უდიდეს მეცნიერებას და სარგებლობას ძველს ლიტერატურაშიდ, მაგრამ ჩუენ იმ უფლების აზრების თანახმა არა ვართ. აი რისთჳს: რუსთაველიდგან დაწყებული მეათ ცხრამეტე საუკუნემდის, თუმცალა დიდმა ხანმა განვლო, მაგრამ ლიტერატურაშიდ ვერც ერთს ღირს შესანიშნავს პირს ვერ ვიპოვით. ეს დროების სივრცე მიემსგავსება, საშინელ თვალ უწდომელ სილიან მინდორს, რომელზედაც საშინელი გვალვის გამო ნამყოფი არა არისრა, თუმცალა აქა იქა მოჩანან პატარ პატარა ბალახები, რომელთაც შორიდგან ეტყობათ თითქო აყვავებას აპირებენ, მაგრამ როცა დაუახლოვდებით, მაშინკი დარწმუნდებით,რომ ისეთი რიგად არიან დაყვითლებული და დახაშმული გვალვისაგან, რომ მათშიდ ნამდჳ-

ლი ჭეშმარიტის სიცოცხლის ნატამალსაც ვერ იპოვით. მაგრამ თუ რომ ძველ ლიტერატურას აღტაცებაშიდ ვინმე მოჰყავს, თავისი სიკეთით და ჭეშმარიტებით კი არ მოჰყავს, ცხადია რომ, იმათი ბაშვურ გრძნობას, ყარამანის და მსგავსი გმირების მოქმედებეება აკვირვებს. ვის არ ახსოვს ბაშვობა და ის კეთილი ნეტარი დროება, როცა ჩვენ ჩვენი მშობლები, საღამო ჟამზედ, ძველი მწერლების მოთხრობეებს გვიკითხამდენ ხოლმე, და გულ წრფელად ვერწმუნებოდით ყარამანის მოქმედებას, რომელსაც ისეთი აღტაცებაშიდ მოვყავდით, რომ კიდევაც არ ვიცოდით სიხარულის გამო, თუ რა უნდა გვექმნა? არიან მისთანა ბატონებიც, რომელიც ამბობენ: «თუ რომ ძველი ლიტერატურის ენა არ აღვადგინეთო, ისე ჩვენს ლიტერატურას საშველი არ ექნებაო.» და ამასთან იცი მკითხველო რას ამბობენ? ვითომც ნამდვილი ქართული ლიტერატურის ენაზედ, მხოლოდ მარტო მდაბალი ხალხი ლაპარაკობს, ასე რომ აზნაურობამ სულ არ იცის ქართული. ამ გვარი დამტკიცებითი ლაპარაკი მარტო უ. ჩუბინაშვილს შეუძლიან, რადგანაც საქართველოზედ დაშორებულია, და თავისი ხულა ბელელშიდ, ან და კოკოზა დარეჯანშიდ ხეირიანად ვერ გადუდგენია რაც ქართული წიგნები უკითხავს. მე არ მესმის და ვერა გამიგიარა, თუ რას ნიშნავს ენის აღდგენა? (იმათის აზრით). ჩვენ ვგონებთ, რომ ლიტერატურის ენა მაშინ აღდგება როცა ხალხშიდ მეცნიერება გავრცელდება. აქ საჭიროდ ვრაცხ მოვიყვანო: **Когда литературныя занятія упадаютъ, дворцы горятъ, монастыри расхищаются и мѣста ученія подвергаются разрушенію,—тогдато народные или, какъ ихъ называютъ**

простые діалекты, составлявшіе подобіе нижняго теченія поднимаются надъ хрустальной поверхностью литературнаго языка и, подобно весеннимъ водамъ, уносятъ формаціи прошедшаго времены, сдѣлавшіяся уже излишними. стр. 45, м. мгол. ჩუჱნ ვგონებთ, რომ ხალხის დიალექტიკამ გაიტაცა უ. ჩუბინაშვილის გონება, და იმას ყური კი აღარ უგდო, რომ ენას ძლიერ ჩქარა შეუძლიან თავისი მძლავრების დაკარგვა და სრულიად გამოიცვალოს თუ რომ ლიტერატურამ არ დაიფარა დამცირებისაგან. მე მახსოვს, თუ რა ნაირის გულის მოწადინებით გვირჩევდენ უ. კრიტიკოსები, რომ ენა ძველის ლიტერატურიდგან უნდა ვისწავლოთ, და მაგალითი «ვისრამიანიდგან» გვიჩვენეს, სადაც უ. ავტორი უსირცხვილოდ ამბობს, რომ ვისრამიანი ისეთი ენითაა დაწერილიო, რომ კაცს გულს და სასმენს დაუტკბობსო. ჩუჱნ ამაზედ ბევრს დავა დარაბას არ გაუწევთ, რადგანაც ძლიერ რჩეული გულის და მახვილი ყურებიანი ბძანებულა უ. ავტორი! მაგრამ უ. ავტორს ვაჩვენებთ ერთი პატივცემული მწერლის აზრს ვისრამიანზედ:

ვის სჯული სწამს ადამიანს, ნუ ჩახედავს ვისრამიანს
დაუბნელებს დღესა მზიანს, ჯოჯოხეთშიდ მისცემს ზიანს.

ეჭვი არ არის, რომ ამ მწერალმა უფრო ნამდვილად გვიჩვენა ვისრამიანის სარგებლობა, ვინემ წასული წლის ქართველმა განათლებულმა კრიტიკოსმა!

ნუთუ რომ შესაძლო იყოს ერთის ან ორის წლის განმავლობაშიდ ენის გარყვნა და დამცირება, როგორათაც ზოგიერთები ფიქრობენ? ჯერეთ ერთს საუკუნესაც არ გაურბენია, როგორათაც ჩუჱნ ცოდვილმა ურჩმა შვილებმა

მამაპაპური ენა დავკარგეთ! ნუთუ ჩუ̂ენმა მშობლებმა და მოძღვრებმა იმოდენი ვერ შეიძლეს, რომ ჩუ̂ენშიდ მამა პაპური ენა დაემკჳდრებიათ? მაგრამ არა მკითხველო, მიზეზი სულ სხჳა რამ უნდა იყოს. ცემა ტყეპით შეჩერება ხომ არ შეიძლებოდა, თუ რომ აღსასრული მოუვიდა! მაგრამ ვინ იყო მიზეზი ასე ჩუ̂ენი ენის დამცირების და სათვალავადმდე მიმყვანი? ნუ გამიწყრებით, — ამ გვარი თქმისათჳს: მამა პაპების დამნაშავე! ეჭვი არ არის, ზოგიერთი ჩუ̂ენი განბერილნი მეცნიერები იტყვიან. როგორ თუ მამა პაპების! ნუთუ სათვლავშიდაც აღარ გინდათ მკვდრები მოასვენოთ! შეჩვენებულებო, წყეულებო..... და ვინ იცის რამდენს რას დასძინებენ.....

როცა ჩუ̂ენ მღვია მდინარეს გხედავთ, და გვსურს, მიზეზის გამომკვლევა, მაშინ ჩუ̂ენ ვფიქრობთ ან იქ იყო წვიმა, ან და იქ, ან აქ.... აი ამ რიგად მივალთ ხოლმე ჭეშმარიტს მიზეზამდის. აი ჩუ̂ენი ლიტერატურის გამომკვლევასაც, რომ ასრე შეუდგეთ ეჭვი არ არის, რომ ყოველი ბრალი და დანაშაულება განსვენებულთ აბრაამის წიაღსა შინა ჩუ̂ენს მამა პაპებს მოესვევა ვისერზედ. აი რისთჳს: თუ რომ ჩუ̂ენ მამა პაპებს გაჩაღებული ლიტერატურა ჰქონოდა, ენაც და ყოველივე რაცკი საჭიროა, კარგა რიგზედ განსაზღრული ჰქონდათ, მაშინ ცხადია რომ ჩუ̂ენ იმათი ღირსი შთამომავლობა, იმათ ენას დავიმარხავდით, როგორც რიგია. მხოლოდ იმ პირობასთან რომელიც მოგახსენეთ, შეეძლოთ თავისი შთამამავლობისათჳს გარდაეცათ ნამდვილი ენა. მაშ თუ არ ლიტერატურის საშვალობით ვის შეეძლო, რომ საქართველოშიდ

ქართველს, იმერელს, რაჭველს, სვანს, აფხაზს, მეგრელს გურულს და სხვებს შუა ნამდვილი ქართული ენა დაემკვიდრებია. მხოლოდ ლიტერატურას შეეძლო მათი შეკავშირება და გამტკიცება, რომ ენა დაეფარა: ქვე ჭირი მოგჭამეთქო,, კილავ, პატრონი, კიპატრონოდგან და სხვა მრავალი სიტყვების ხმარებიდგან, რომელიც ნამდვილს ქართულს ენას არ შეშვენის! მაგრამ რადგანაც ჩვენში მწერლობას ცოტა ფასი ედვა, უფრო ბლიაძების და ტაკი მახსარების ხელში იყო, ამისათვისაც ენამ თავისი ჭეშმარიტი ნამდვილი ღირსება დაკარგა. თუმცალა საქართველოში ზოგიერთს ადგილს იყვნენ სკოლები მაგრამ იმათშიდ აღზრდილნი ხალხნი კარგი გვარის კაცის შვილები იყვნენ, და ყოველთჳს ან სასულიერო მოხელობას შეუდგნენ და ან და მედიატორეთ იყვნენ! მაგრამ ანკი როგორ შეეძლოთ იმ გვარს ორიოდე სამ პირს საქართველოშიდ გარყვნილებისაგან ნამდვილი ქართული ენა დაეფარათ! თუმცალა გვაქვს ნათარგმნი წიგნები მაგ: არისტოტელის, გორაციოსი, კვინტ კურციის და სხვების, მაგრამ ეს წიგნები ისე ძვირი იყო ჩვენში, რომ ძალიან ცოტა გვამები ბმანდებოდნენ, რომელთაც ჰქონდათ; და ეს ცოტა გვამები საკითხავად პრავის არ აძლევდნენ, ურეცხსავით ეშინოდათ რომ თავისი სიბრძნე და განვლენობა არ დაკარგოდათ. ამ ზოგიერთს პირებს ისე ეკავათ თავისი თავი, თუ გინდ რაღაც დიდი ფილოსოფოზი ბრძანებულიყო; არც ხალხი ეტრფიალებოდა რადგანაც სარგებლობის მაგიერად ის პატიოსანი განათლებული (!) პირები ხალხს ტყავს აძრობდა. ეგრე-

თვე მინახავს ერთი ეგზემპლიარი ლეიბნიცის თხზულება ქართულად ნათარგმნი: სასაცილო რამაა, ღირდაკი ლეიბნიცის თხზულების თარგმნაზედ დრო დაეკარგათ!? ლეიბნიცი ყოვლად შემძლებელი გენიაა! და იმის წიგნს თარგმნეს ქართველებისათჳს, იმ ხალხისათჳს, რომელსაც მართლმსაჯულების მაგიერად ხაკირე და შანთი ქონდა, რომელსაც კაცის დარჩობა, გატყავება და შეწვა არად მიაჩნდა. და ვინ თარგმნა? იმ გვამმა, რომლის კეთილი გონიერმა შთამამავლობამ არათუ მარტო თავისი თავი. . . . რომელსაც თითონ ეკუთნოდა! მაშ ხედავთ, იმ წიგნებმაც ვერაფერი სამუალები ან და სარგებლობა მოუტანა ჩუჱნს ხალხს, რომელიც ძრიელ შესანიშნავი პირების ევროპიის ლიტერატურაშიდ; მართალი სთქუა ერთმა ანგლის მწერალმა: «**Никакая политическая реформа не можетъ принести истиннѣ пользы покуда не желается народомъ, среди которою она совершается.**» როცა ჩვენმა მამა პაპებმა ვერ ისარგებლეს და დაკარგეს ყოველივერი, საქმეც აფუშული და ფუშული დაგვიგდეს და დაგვაყენეს საფრსეს კიდეზედ, მაშინ თავს დაგვძახიან: «ჯუარს აცუ ეგე.» რისთჳს, ღმერთი არ არის თქუჱნშიდ? რა დანაშაულობა გვაქჳს? არა მამებო! თქუჱნ ჩუჱნის ცოდვით, არც ამ ქუჱყანად და არც საიქიოს საველი არ გვექნებათ! თქუჱნ ისეთი ტვირთი მოგვკიდეთ, რომ თქუჱნ ენის სამძრავიც არ უნდა ქონდეს სირცხვილის გამო! ჩუჱნი დანაშაულობა თქუჱნის ჯავრით ისაა რომ ენა დავკარგეთ! ძმებო, რას გვერჩით, რა ენა დავკარგეთ, როცა რომ არა გვქონიარა? რათ არ მოიფიქრებთ რომ როცა

პირველი კაცი იყო ქვეყანაზედ გაჩენილი, მაშინ იმან ის ორიოდე სიტყუა იცოდა, რაც მხოლოდ იმისი ცხოვრებისათჳს უფრო საჭირო იყო. მაგრამ როცა იმის ცხოვრებამ, უფრო და უფრო საჭიროება მოითხოვა, და ამ საჭიროების გამოთქმისათჳს აზრი და ენა იყო საჭირო, მაშინ ენამაც უფრო და უფრო სივრცელე მიიღო;—ასე რომ ეს ჩუენი ნამდვილი ქართული ენა, როგორც დაიბადა ჩუენი მამა პაპები დედის მუცლიდგან კი არ გამოყოლიათ მერმეთ ისწავლეს ჩემო ძმებო და ბატონებო! ასე რომ პირველი კაცის ენის ცოდნა, თუმცაღა გამოსადეგიკი იყო შჳლისათჳს, მაგრამ სურვილის დამაკმაყოფილებელი კი არ იყო;—შჳლის—შჳლის შჳლისათჳს, და აი ასე ჩვენამდის. მაშასადამე, როცა ჩუენი აზრი და მოთხოვნილება ვრცელდება, მაშინ ჩუენი ენაც მდიდრდება. მაგრამ ეს ენის სიმდიდრე და განსაზღვრა ახალს მოთხოვნილებასთან, ზოგიერთს ბატონებს ენის დაკარგვად მიაჩნიათ. ნუ შეშინებულ ხართ, ნუ გეშინიანთ ენა თავის დღეშიდაც არ დაიკარგება ვინემ ნაცია ან და ის ხალხი ცოცხალია რომელიც ლაპარაკობს. თუ ამდონი განსაცდელი და გაჭირების მოთმენა შეეძლო და მოასწია ამ ჩუენს დრომდის და იმ თარჯიმნების ენას, რომელიც შჳდი რვა საუკუნეთი უწინ თარგმნულია და იმათ ენას ესლაც ვგებულობთ, მაშ ნუ აღშფოთებულ ხართ, თქუენ კეთილ სულების მქონენო გვამებო!

მაგრამ, ოჰ, თქუენ ფარისეველნო და მწიგნობარნო! რათ გსურსთ, რომ ყოველი თქუენი ბრალეულება და შეცთომილება ახალ გაზდა შთამომავლობას მოახვიოთ კისე-

ზედ. ნუთუ თქჳენ გულწრფელად სწერდეთ და ლაპარაკობდეთ ახალ გაზდა ყმაწვილ კაცობაზედ? რას გეუბნებათ მაშინ თქუენი სინიდისი? რათ თქჳენ თავს არ ჰკითხავთ, თუ რომ, ესე უღირსნი არიან ყმაწჳლ კაცობა მიზეზი რა არის? მაგრამ თქჳენ ბრმა ხართ, თქჳენის თავის მოყვარებით.....

პრაფ. ჩუბინაშჳლმა, რომ ქართული ლიტერატურა არ იცის, არა ვგონებ ამაზედ ვისმეს ეჭვი ჰქონდეს: მაგრამ იმოდენად კვეხნია კი ბრძანდება. თუ რომ ის არ ყოფილიყო, ის მნიშვნელობა და სარგებლობა არ ექნებოდა ქართულ ლიტერატურას განათლებულს და ნასწავლს საზოგადოებაშიდ რაც დღეს იმის შემწეობით აქვს. იმის ლექსიკონიდგან შეიძლო უ. ბოჰპმა ქართული ენის დასაწყისის და ნათესაობის კავშირის გამოეძებნა! წიგნებიც იმან გამოსცა. რომ ის არ ყოფილიყო, მისთანა თქჳენს მტერს ქართულ ლიტერატურას საქმე მოუვიდოდა. ამ უკანასკნელს დროშიდ უ. ჩუბინაშჳლმა გამოსცა: «ქართული ქრისტომატია, ან გამოწერილნი სტატიები სხჳათა და სხჳათა ჩინებულთა მწერალთაგან.» აი კიდევაც ეს წიგნი გვიჩვენებს ჩუბინაშჳლის ხელოვნებას და გამგეობას ლიტერატურაშიდ, სწორე მოგახსენოთ, ინჩიც არ იცის; ლიტერატურისა—მხეცია! ამ წიგნის პირველს ნაწილზედ ვერას მოგახსენებთ.... ხოლო რაც მეორე ნაწილს შეეხება მოგახსენებთ შემდგომს: უ. ჩუბინაშჳლმა პოეზიის რამოდენიმე ნაწილად გაყო, მაგ. მოთხრობითი პოეზია; აღწერილობითი პოეზია, სამღერალი და სხვები. უ. ჩუბინ. ლექსების ღირსებას და ყორონიკონს ქურიც არ ათხოვა,—ვინც

ძველი გვარის, ან დ̃ ადგილით შესანიშნავი იყო, ეგონა თუ იმის ლექსებიც ღირს შესანიშნავი იქნებაო, ან დ̃ პოეზიამიდაც ისე გვირგვინოსანი დ̃ მირონ ცხებული იქნებაო როგორათაც ის პირები ამ ქვეყნის მოკუ̂დავთა შორის განირჩევიან! მაგ. მეფე თეიმურაზ პირველი. მეფეს გვერდით მდივანბეგი ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი დააბძანა, ცოტა მოშორებით ზაქარია გაბაშვილი ნამოძღვრალი დასვა დ̃ სხუ̂ანი.

ამ ჩუ̂ჱნი დროს მწერლების ერთი ლექსიც არა აქუ̂ს დაბეჭდილი. მიჩვენოს უ. ჩუბინაშვილმა ორი მწერლის გარდა, რომელიც შეედრებოდეს უუ: წერეთელს დ̃ ი. ჭავჭავაძეს? ეჭვი არ არის, რომ ვერც ერთი იმისაგან დაბეჭდილი ლექსი (ორი მწერლის გარდა) ვერ შეედრება წერეთლის დ̃ ჭავჭავაძის ლექსებს. იმაშიდაც ეჭვი არ არის რომ ეს ორი ჩუ̂ჱნი მწერლები ისე ამაღლებულნი არიან წარსრული საუკუნეს მწერლებზედ ნიჭით დ̃ ტალანტით, როგორც მზე მიწიდგან. მაშ რამ აიძულა უ. ჩუბინაშვილს ამ გვარი მოქმედება? თავის მოყვარებამ! იცით რა თავის მოყვარებამ? რადგანაც ორივე მწერლები იმის ხელის გულზედ გაიზარდნენ დ̃ იმის «კოკოზა ხელიდგან» მეცნიერების დ̃ ტალანტის ნაყოფი გამოიტანეს, იმას სასასირცხოდ მიაჩნდა თუ როგორ უნდა დაბეჭდოი თავის «ქრისტომანტიაშიდ» ბაშვები მწერლების ლექსები. ვსთქუ̂ათ ეს კიდო არაფერია, იმათი ლექსების დაუბეჭდველობით იმათ ნიჭს თავი არ ასტკიდება; მაგრამ იმაზედ უფრო უძნელესი რაღა უნდა იყოს კაცს საქმისა არა გესმოდეს რა დ̃ თავის თავზედ კისრულობდე. ჩუ̂ჱნ გაკვი-

რგებული ვართ, რამ ასაზრებია უ. ჩუბინაშჳლს, ნ. ბარა-თაშჳლის ლექსები: ჩემი ლოცვა, მერანი და სული ბო-როტი, სამღერალი ლექსები იყოს. ამის შემდგომ ჩუენ დარწმუნებული ვართ, რომ უ. პრაფესორმა, ვერც ერთი ლექსის მნიშვნელობა ვერ გაიგო. თუ რომ გაეგო ამ გვარს (თუ შეიძლება ასე ვსთქუათ) უგუნურ შეცთობილე-ბასაც აღარ იქმოდა. ქართლის ბედიკი «აღწერილებითი პოეზიაშიდ შერაცხა.» ოს, ღმერთო ჩემო! ნუთუ იმო-დენად დაკარგეს შენგან გაჩენილმა ადამიანების შჳლებმა გრძნობა, რომ წმინდა ლიტერატურის გვამებს, ბღალვენ თავისი ურწმუნო და ბიწიერის ხელებით! რისათჳს ხელი არ შეუშვენ როცა ამ გვარად იმათი შებღალვა მოიწადი-ნეს? მაგრამ დასჳდეთ თუ როგორ ვექცევით ბარათაშჳლის ლექსებს, ჩანგურზედაცკი მღერიან «სული ბოროტს» მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ სული ბოროტის მნიშვნელობა, სულ არ ესმის იმ ბატონ პირებს ვინც «სული ბოროტს» მღერის. ეჭვი არ არის, რომ ისინი «სული ბოროტს» სიკუდილს ჰგონებენ, რადგანაც ნ. ბარათაშჳლმა, სიკუდილის დროს დაჰსწერაო. არა ჩემო ბატონო, ვინც ამას გონებთ, წაიკითხეთ გონების თვა-ლით, გულ დასმით რამოდენჯერმე იმისი ლექსები, გაი-გეთ ნამდვილი იმათი მნიშვნელობა და მაშინ, გარწმუნე-ბთ ყველა ერთ ხმად დასძახებთ რომ: «ჩუენი ნ. ბარა-თაშჳლი გენიით ჩუენი რუსთაველის ძმაო. «ამ გვარი ჩემგან შედარება ბევრს ემწუთხება, თუ როგორ გავბედე! მაგრამ რა გაეწყობა ჩემო ბატონებო! თუ რომ მართლა რუსთაველი გენია იყო (რომელშიდაც ეჭვი არა მაქუს)

მაშინ ეჭვი არა მაქუ̂ს ბარათაშჳლიც გენია იყო! თუმცა-და ჩუ̂ენი საზოგადოება, რუსთაველის «ვეფხვის ტყაოსანს» უფრო კითხულობს, და თითქმის ზეპირად იციან მაგრამ მკითხველის უმეტესს ნაწილს მისათჳს მოსწონს, როგორც უფრო საფიქრო, რომ პოეტიკურად ყავს გამოხატული მოქმედი გმირები მაგ:»

იგი ასრე მოიწიფა, მე შემქლო შესვლა ომსა;
მეფე ქალსა, ვით ჰხედვიდა მეფობისა ქმნისა მწთომსა,
მამასავე ხელთა მიმცეს, რა შევიქმენ ამა ზომსა,
და ვბურთაობდი და ვთამაშობდი, ვით კატასა ვხოცდი ლომსა.

ამ უკანასკნელის სტრიქონის აზრისათჳს მოვა ის დროც როცა რუსთაველს უსაყვედურებენ და თუ შეუნდეს მიზეზი მხოლოდ ის იქნება რომ მეთორმეტეს საუკუნეში სწერდა. არათუ მარტო ერთი ეს შეცთომილება ქონდეს არა ჩემო მკითხველო! ბევრია, მაგრამ საზოგადოთ თუ ვიტყვით კარგია და ბევრგან ძლიერ კარგი აზრებიცა წარმოთქმული. აი მაგ:

თუცა ქალია კელმწიფედ, მართ ღუ̂თისა დანაბადია.
არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქუ̂ენოდ გვითქუ̂ამს კელავ
დია,
შუქთა მისთაებრ საქმეცა, მისი მზებრ განაცხადია,
და ლეკვი ლომისა სწორია, ძე იყოს თუნდა ხვადია.

ჩუ̂ენდა თავის გასამართლებელად მოვიყვან ერთი ძველი მწერლის სიტყვებსა, თუ როგორ ესმოდა პოეზიის მნიშვნელობა, მწერლის შეხედულება ჩუ̂ენთჳს მიტომ უფრო ძვირფასია, რომ თუკი უპირველესი ძველი მწერლებთა შორის ესეთი იყო, მაშინ ცხადია რომ სხვებზედ ლაპა-

რაკი დროს დაკარგვად არა ღირს, მაგალითად მოვიყვანოდ მეფე თეიმურაზის ლექსი:

გათავდა ესე ამბავი, იგი კითხვა არაკობანი,
სიტყვისა შესხმა რიტორად, ენის სამკაული მკობანი
არც სისარული სულისა, არც არა ზიდიკობანი
და უსაქმო მოწყენილსა, ცუდი რამ ტიკტიკობანი.
ცუდათ წოლით და გდებითა ეს მომაგონა რაჭამა
ორმოს ჩამაგდო სოფელმან, ძირს ჩამიტანა რაჭამა.

. . . . , . . . . , . . . . . .

ღმერთო ნუ მიწყენ ამ ცუდს ლაყბობასა მიდმოდებასა.

აქედგან ცხადათ დაინახავს ყველა მკითხველი რომ მეფე—პოეტს, პოეტიკური გრძნობის აღსრულებისგამოკი არ უწერია, მხოლოდ ერთის სიზარმაცის და მოწყენილების გამო. მაგრამ ახლა დავსხდოთ რას ამბობენ ჩუენი დროების პოეტები:

ცუდათ რომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება!
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!

ნ. ბარათაშვილი.

ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?
რასაც ვემსახურებით—მას ერთგულად კვლავ ვემსახუროთ.

ჩვენ წმიდა სიტყვა უშიშრად განვაგდოთ ხალხში
ზორთტით საკლავად — და შორიდამ ხეირს ვუყუროთ.

ი. ჭავჭავაძე.

ვიცი, ის ბედი, სხჳს რომ შენატრის,
შენ მიგაჩნია მხოლოდ სასჯელათ!
ბედს შენთჳს ერთი მხოლოდ ბუნება
წინ დაუნიშნავს მუდამ ნუგეშათ,
მაშ ნუ გწყინს გულო კაცთაგან გმობა,
ხელი გქმასხონ, ნუ განაღვლებს,
შენკი დადექ შენს წმინდა გზასა
და აღასრულე დანიშნულება!...

ა. წერეთელი.

შეადარეთ ეს ლექსები და თვით ცოტა გრძნობის მქონე ქართველიც დაინახავს რომ თუ რა განსხვავებაა მათ შორის! მაგრამ პირველს ამ სამს პოეტებთაგანზედკი ვიტყვი, რომ არა თუ ქართული ლიტერატურაშიაც რუსული ლიტერატურის პოეტებზედაც მაღლა დგას [illegible] ვიტყვი თამამად: პუშკინიც და ლერმონტოვიც შორს მოიტოვა!

ლვიმელი.

20 აპრილი.
1865 წ.

## გათანასწორება სამკვიდრო მამულისა დედაკაცთა და მამა კაცთა შორის.

მემკჳდრეობა კანონით არის საშვალობა, რომლითაც მამული, ვალი და თანამდებობა გარდაცვალებულისა პირისა მწამსა მის გადაცვალებისა ეკუთვნით მის მახლობთ ნათესავთა, რომელიც მიიღებენ მის მაგიერობას ანუ მოადგილობას. საფუძველად კანონიერის მემკვიდრეობისა არიან: ღვიძლითი ნათესაობა გადაცვალებულისა და მახლობლობა ამ ნათესაობისა. არა შესაძლოა მოფიქრება უმჯობესის საფუძვლისა მემკჳდრეობისათჳს, როგორც ღვიძლითი ნათესაობა. ნათესაობა არის მაგარი კავშირი, მყოფი ქვეყანაზედ ხალხში, იგი მომდინარეობს ქორწინების დაწესებიდგან და კავშირით მშობლითა და შვილებთ შორის, ნათესაობით შეერთდებიან რამოდენიმე პირნი, აქვსთ ერთი მიზიდულება, შესწირს ერთმანერთის ავი, კარგი, ყოველი საცადი და გასაცდელი ამ ნაირ შეერთებულ პირნს ეძახიან ოჯახობას. რომელიც შეადგენენ ქალსა და კაცსა. ყოველ კაცს აქვს სახეში თავის გარდაცვალება, ამიტომ პოებს

გალად შემდეგ მისს მიცვლილისა, საკუთვნელი მისდამი მამული და უტევოს მახლობელ ნათესავს. ამისთანა წინა დადებას აქვს უმეტესი ძალი, ოდესაც შემდეგ გადაცვალებულისა რჩებიან შვილნი ანუ მახლობელნი.

ყოველი კაცის რიგია იღვაწოს თავის შჳლებისათჳს, რადგან მათი სიცოცხლე შედგება მშობლიდგან და იწოდებენ მშობლის სახელს, კიდევაც ისინი არიან მახლობელნი მშობლისა ამიტომაც კანონი უწესებთ მათ უპირატესობას სხჳაზე სამკვიდრო მამულის მიღებას. ზევით ნათქვამიდგან მსურს გამოვიყვანო კანონიერ მემკვიდრეობაზე ორი შესანიშნავი მუხლნი: ა) პირველი ის რომ, შემდეგ გადაცვალებულისა უპირატესობა მემკვიდრეობისა მის მამულზე აქვს ღვიძლითი ნათესავთ; ბ) მეორე მდგომარეობს გარჩევაში ვინ არიან ამ ნათესავთაგანი მახლობელნი ნათესავნი, და გარეშე, რომელთ უმეტესი ძალი აქვსთ მონაწილეობისა (ერთმანერთში) მათში მემკჳდრეობაზე. ჩჳენ ავიღეთ ეს ნაწილი მემკვიდრეობისა კანონით ამიტომ: ა) წესი მემკვიდრეობისა დებისა ძმებთან რუსეთის კანონებში ძრიელ გარჩეულია, ვიდრე სხჳა განათლებულის სახელმწიფოებისა; ბ) რუსეთის სამოქალაქო კანონები არიან დაფუძნებულნი ამ საგანზე პატრიარხალურის ანუ ძველებულის წესებით, რომელთაც მოჭამეს თავის დრო, რომლითაც ჩნდება უთანასწორებლობა მამულზე კაცთა და ქალთ შორის დაიჩაგვრის უმეტეს ქალი; გ) ეს დებულებანი გამომდინარეობენ შემთხვევისაგან არიან წინააღმდეგ სჳნიდიისა და პატიოსანის კაცის ბუნებისა, აგრეთვე ყოვლად უსამართლო და განუსჯელი, ამი-

ტომ არა აქვსთ ამ წესთ ადგილი ყოფნისა, ეკონომიუ-ლის ანგარიშით, აგრეთვე არ ეკადრება განათლებული სახელმწიფოებთ, რაისათჳს საჭირო სრულიად გამოცვ-ლა ამ ნაირის წესებისა.

ვთვლი საჭიროდ მოკლედ აღწერას ისტორიულებ წე-სებისას მემკვიდრეობაზე დებისას ძმებთან თუ როგორ იყო სხუა და სხუა სახელმწიფოებში: ა: ინდოეთის კანო-ნები აჩენს, როდესაც გარდიცვლება მამა, შჳლებთ არა აქვთ ნება მამულის განაწილებისა დედის სიკუდილამდე. თუმც ერთათ იდგომებიან, ყველანი უფროსი შჳლი აი-ღებდა მეოცე ნაწილს მამულისას და სხუა დანარჩომს ის და სხუა ძმანი გაიყოფდენ. თუ ვაჟი არ ყავს ინდოეთე-ლს და ქალი მამის ბრძანებით გათხოვდება მაშინ ქალს იმტენი ნება აქ მამულზე, რამტენი კაცებთ, ეს ჩნ-დებოდა მით რომ ყველა ინდოეთელს უთოვოთ უნდა ყოლოდა მათის აზრით ვაჟი; თუმც არ ეყოლებოდა უნდა ეშჳლება იმშჳლის შჳლი ანუ მახლობელი ნათესავი. თუ არც ესენი იყვნენ მემკვიდრეთ დარჩებოდა მეუღლე გარდაცვა-ლებულისა, არც ეს იყო ცოცხალი, ამისი გაუთხოვარი ქალი, მერე გათხოვნილნი და თუ მახლობელნი ნათესავ-ნი არ იყვნენ გარდაცვლილისა მიიღებდნენ მის სამკვიდროს მამა მისი, ანუ დედა, მერმე ძმა. ბ) ჩ ი ნ ე თ ი ს ს ჯ უ ლ ი-ს ა გ ა ნ. შემდეგ მამისა უფროსობა ოჯახისა ეკუთვნოდა უფროს ვაჟსა, გარნა მამულს თანასწორ იყოფდენ შჳლებ-ნი, ხოლო დედა და დანი ვერ ითხოვდენ თჳნიერ საზრ-დოისა. ძმანიც თანამდებ იყვნენ ეძლიათ საზრდო. გ) მო-სეს კანონით უფროსი ვაჟი მიიღებდა სამ წილს მამული-

სას, მერმე დედის სიკჳდილისა, უნდა გაეყო მამული თანასწორივ ძმებისათჳს უფროს ძმას, დებს საზრდოს მეტი არ უჩნდებოდა მამულიდგან. დ) საბერძნეთში იყო ორნაირი განსხვავებული ერთი მეორიდგან წესნი: სპართაში და ათინაში. სპართის კანონი აჩენს მამული უნდა თანასწორ გაიყოს მოქალაქებთ შორის, ამითი ისპობოდა მემკჳდრეობა. ათინას კანონით შემდეგ გადაცვალებულის მამულს იყოფენ შვილნი და შჳლის შჳლნი მისნი, თუმცა არ იქნებოდნენ ესენი, შჳლი და მათი შჳლები, არც ესენი იყვნენ ცოცხალნი მიიღებდა მამულს მამა, ანუ ძმა გადაცვალებულისა და მახლობელნი ნათესავნი. ე) რომში ძველ დროში მამის შემდეგ ვაჟნი და ქალნი თანასწორივ გაინაწილებდენ დანარჩომ მამულს, ვაჟებთ არ ჰქონდათ წარჩინება ქალებზედ, ოდესაც დასავლეთის რომის იმპერია დაიპყრა გერმანიის ხალხმა სახელდობრ ფრანკებმა მაშინ ეს წესები შეიშალა და მუშაობდა რომში ამ ხალხის კანონები (*) გარნა საშვალ საუკუნეებში ეს რიგები გამოიცვალენ ასე რომ ქალნი იყვნენ სრულიად გამორიცხულნი მემკვიდრეობისაგან. პაპის კანონით მემკვიდრეობა დებისა ძმებთან შესაძლო არ იყო, თუ მიცვლილის მონათესავე კაცი იყო თუნდა შორეული მონათესავე ქალს არ ჰქონდა ადგილი მემკვიდრეობისა თჳნიერ მზითვისა. ანგლიაში მემკვიდრეობა განირჩევა მამულით, რომელიც არიან ორ ნაირი:

(*) თვრამეტ საუკუნეში თითქმის ყველა ევროპის სახელმწიფოებმა დააწესეს თანასწორი მემკჳდრეობა ქალისა ვაჟებთან.

ა) მოძრავი, ბ) უძრავი. უძრავი მამულისაგან ქალს არაფერი უხნდებოდა, მოძრავს ესე იგი ნივთეულებას, საქონელს და სხვ. ქალნი და კაცნი იყოფენ თანასწორ. ნორვეგიაში ქალს და კაცს ერთ ნაირი ნება აქვს მემკვიდრეობისა, მარამ კაცის ნაწილი ორი ზომით მეტი უნდა იყოს. ჩუენს წელში იყვნენ შეკრებილნი ამორჩეული საზოგადოებიდგან ჭკვიანი კაცნი, რომელთაც გააჩინეს ქალების და კაცების თანასწორ მონაწილეობა მამულში შემდეგ მათის მშობლისა, ეს მართებლობამ არ დაამტკიცა და უარ ჰყო. შვეიცარიაში. ერთი წილი ძმებს ანგარიშის გარეთ, და სხვა სამ წილს დები და ძმები თანასწორ გაიყოფენ. რაიცა შეეხება რუსეთის კანონებს ვალია ვსთქვათ განმარტებითი, რადგანაც რუსეთის კანონები მუშაობს ჩუენშიაც. პირველი ცნობა მემკვიდრეობის თაობაზე რუსეთში სჩანს გარიგებაში, რუსეთის კნიაზი ოლეგისა ბერძნებთან ცხრაას თერთმეტ წელში ამ გარიგებაში სწერია: თუ რუსთაგანი მოსამსახურე ბერძნეთის ხელმწიფესთან და არ დასტოვებს ანდერძი მამულზე და თუ მას არ ეყოლება თავისიანი, მამული მოუბრუნდეს რუსეთში მის მახლობელთ ნათესავთ, ვინ იყო მახლობელნი ან როგორ უნდა დამკვიდრებოდა არ იყო განრჩეული. კანონები გამოცემულნი რუსეთის მეფის იონე გ-სა აიან ოთხას ოთხმოცდა ჩვიდმეტში, აწესებენ შემდეგ მამისა მემკვიდრეობს შვილი, თუ არ რჩება შვილი, ქალი შვილი, არც ქალნი არიან, მახლობელნი ნათესავნი. იონე დ-ს კანონებში არიან. ისევ ესენი განმეორებულნი მიმატებით, რომ შემდეგ ძმებისა და დებისა, უპა-ლა მათის მახლობლის ნათესავისა, მოეწოდებინ მათნი

შვილნი და მჳლი შჳლნი. განსაკუთრებული წესნი იხმარებდნენ შესახებ ქალებთ მემკვიდრეობისა ნაჩუქარ ადგილზე, რომელსაც ეწოდება სახელდობრ (პომესტიე) ამისთანა ადგილი ეძლეოდა კაცს, რომელიც იყო სრული წლოვანი და შეეძლო სამსახური კელმწიფისა. ამ სახელწოდებული ადგილის განრჩევა საჭირო ჩვენთჳს, რადგან ეხლად მომქმედნი კანონები მემკვიდრეობაზე არიან. აქიდგან გამოკრეფილნი. ეს ადგილი ეძლეოდათ მოსამსახურე კაცთ ჯამაგირის მაგიერათ შევსგავსებისამებრ ვინ რა ჩინისა იყო აქიდგან ჩანს ამისთანა ადგილები ეძლეოდათ კაცთ ვისაც შეეძლო სამსახურის აღსრულება გარგათ და არა ქალებს. ოდესაც პომეჩიკი ანუ მებატონე ამ პომესტიისა მოკვდებოდა და დარჩებოდა ობლები, ამ ობლებს აძლევდენ მათი მშობლის ნაქონ ადგილს, სანამ ობლები შეიძლებდენ კელმწიფის სამსახურს, ქვრივს და ქალი შჳლებს აძლევდენ სიკჳდილამდი, ანუ გათხოვებამდი, ანუ მონასტერში წასვლამდი, ამისგამო ამ ნაირი პომესტიები შეიქმნებოდა სამკვიდროთ. დებულებაში ათას ექვსას ორმოცდა ცხრაში არის გაჩენილი, რომ ქვრივს ეკუთვნის დანაშთის შემდეგ ქმრის მამულისაგან მეშვიდედი, მის ასულს მეცამეტე ნაწილი მამულისა თითქმის ორი ზომით უმცირესი დედის ნაწილზე. (1714.) ათას შჳდას თოთხმეტ წელში ოცდა ერთს მარტს მოხდა დიდი ცვლილება რუსეთის კანონებში, ამის მიზეზი იყო პეტრე პირველის ბრძანება, ბრძანება იყო ამ ნაირათ მოყვანილი: ა) უძრავი მამული უნდა დარჩეს შემდეგ მამისა ერთ შჳლს, ხოლო საძრავი სხვას შჳლებთ. მაშინ სახელმწიფო შემოსავალი იქნება წესი-

ერათ; ბ) გვაროვნება არ დაეცემა, არამედ თავის სიმდიდ-
რით იქნება შეუძრავი და ძრიელ სახლოვნებას; გ) ამ შემ-
თხვევაში სხჳა ძმებიც არ დარჩებიან უქმათო და იქნებიან
იძულებული შემთხვევით ეძიონ. თავისი საზრდო, სამსა-
ხურით ხელმწიფისა, სწავლით, ვაჭრობით და სხჳა და სხჳა
მოხელობით რასაც შეიძენ ესენი სახელმწიფოს სასარგებ-
ლოა. ამ აზრით პეტრე პირველმა აღკრძალა გასყიდვა
უძრავი მამულისა და დააწესა, რომ უძრავი მამული უნდა
გადადიოდეს სხვაზე ან ადერძით, ან მემკვიდრეობით ერთ
პირზე ნათესაობაში, თუ ანდერძი არ იქნებოდა დატოვე-
ბული, სამკვიდრო მამული რჩებოდა უფროს ძმას, მოძ-
რავ მამულს იყოფდენ თანასწორ სხჳა ძმები. იმპერატ-
რიცა ანნა იოანოვნამ ბრძანებით ცამეტ მარტს ათას
შჳდას ოცდა თერთმეტში გააუქმა ეს პეტრეს კანონები
და დააწესა ამ ბრძანებით. ასული მოძრავი მამულისაგან
მიიღებს კანონით ორი ზომით უმცირეს დედისა ე. ი.
მეცამეტე ნაწილს მამულისას, მოძრავი მამულისაგან ნახე-
ვარი რაც დედას ერგება მისსა მერვედ ნაწილს ამაზედ
გაჩერდა რუსეთის კანონები მემკვიდრეობაზე და გადის
ერთი საუკუნე რომ მოყავთ აღსრულებაში განუსილავთ.
მომქმედნი ეხლა კანონები ტომი მეათე ნაწილი პირველი გა-
მოცემული ჩუნზ.სა წ.სა დაწესებანი მემკვიდრეობისა დებისა
ძმებთან არიან შემდეგის სახით: ა) ყოველი და ძმასთან
სამკვიდრო უძრავი მამულისაგან მიიღებს მეთოთხმეტე
ნაწილს, მოძრავისაგან მერვედ ნაწილს (**ст. 1130 1 част.
X т**). ბ) თუ შემდეგ მამისა დარჩებიან იმდენი ასულნი,
რომ მათი წილი, როგორც უძრავი, აგრეთვე მოძრავი იქ-

ნება უმეტესი ძმების ნაწილზე მამული თანასწორ გაიყოფება ძმებთა დებთ შორის, გარდა იმ ნაწილის, რომელიც წესით ერგება ერთ ქვრივს (*), არაფერ სახელმწიფოში არ არი დაჩაგრული ქალი როგორც რუსეთის სახელმწიფოში წესი დებისა ძმებთან რუსეთის სახელმწიფოში არის წინა აღმდეგ კაცის ბუნებისა, კაცი ბუნებრივი დანიშნულება არ არი, თუ მან იღვაწოს განსაკუთრებით ვაჟებზე არამედ როგორც ვაჟებზე ისე ქალებზე ერთ ნაირათ უნდა ზრუნავდეს მშობელი და არ უნდა იყო მათში გარჩევა; ამ ნაირი ზომით შესაძლოა კავშირი მშობლისა და შვილების და თანხმობა ოჯახობაში აწ მეთოთხმეტე ნაწილი მამულის უჩნდება კანონით დას და დანაშთი ძმას, ეს აჩენს უთანასწორებლობას, სადაც უთანასწორობა ერთ დედ მამის შვილებში არ უნდა იყოს და თუ არი ნიშანია უთანხმოების ოჯახობაში და უსამართლო განუსჯელი წესი, ამ ნაირი უსამართლოება აძლევს ქალს როგორც უსუსტეს კაცზე ბიჯის სიღარიბისას, ოდესაც კაცს უადვილესათ შეუძლია მოპოება საშვალობისა რჩენად, მამულის არ მიიღოს, ამ ნაირი წესნი უწყებთ ქალებს მიუცილებლათ გათხოვებასა და არ იღებს სახეში თუ ყველა ქალთ არ ძალუძსთ გათხოვება სხჳა და სხჳა მიზეზებისაგამო, თუმც კანონების აზრი ის არი რომ დას ცოტა მიეცეს ძმას რომ მამული არ დაიყოს, ეს ძლიერ შეცთომა ძმებიც იყოფენ მამულს, ამით მაინც ნაწილდება, განშორება ქალისა უძრავი მამულისაგან იყო ძველ დრო-

(*) 1131 ста. 7

ეჰში, როცა მათ თვლიდენ თანასწორ პირუტყვისა და არა კაცისა, ეძლეოდათ მხოლოდ საზრდო, ეხლა სადაც ქალი და კაცი თანასწორ მიღებულნი არიან ამისთანა აზრებთ აღარ უნდა ჰქონდეთ ადგილი, რუსეთში ეს წესნი ამ საგანზედ იყვნენ შემოსული გერმანის კანონებიდგან, რომლითაც ქვრივს მეუღლეს უჩნდებოდა მეთხედი, ქალიშვილს მისას ორი ზომით ნაკლებ დედაზე, ხოლო ანნა იოანოვნამ იმპ. რუსეთ. შეადგინა ამ კანონებზე, დამოკიდებული წესნი, რომ ქალი შვილმა უნდა მიიღოს მერვედი ნაწილი მამულისა ამ ნაირი კანონები არას გზით არ გამართლდება და არიან ურიგოთ დაწესებულნი: იურიდიკულის შეხედვით ეს უთანასწორობა არ გამართლდება, რადგანაც ყველა როგორც და ეგრევე ძმა ყველა ზომად მამულში უნდა იყვენ თანასწორ, თუკი რუსეთი კანონით მამულის შეძენისათჳს ერთ ნაირ პირობას და საშვალებას უწესებთ ქალს და კაცს, მაშინ აღარ უნდა წესდებოდეს ამ კანონებით, რომ დას ცოტა მიეცეს ძმაზე, ეს არი წინააღმდეგ თჳთ სამოქალაქო კანონებისა, ერთში თუ თანასწორია რათ მეორე შემთხვევაში არ უნდა იყოს; აგრევე სამსჯავრო ადგილებში ქალებთ ხთება რვა ნაწილით მეტი ბაჟის ფული, (რომელსაც რუსულათ ეძახიან პოშლინას) კაცებზე. თავს იმართლებენ ამ ნაირი უწესოებანი; ა) მით რომ ქალი თხოვდებოდა იცვლის გვარს მამისას და განეშორება თავის ნათესაობას თავის შთამამავლობით; ბ) მეორე კაცზე არიან შეწერილი იმ ნაირი თანამდებობა, სახელმწიფოში, ოჯახში, პირველი საზოგადოების თანამდებობა და სამსახური, მერე რჩენა ცოლ შვილის ამ ნაირ პა-

სუხი უარს ვყოთ და არ მივიღებ სათუმქვლიანათ ამით: ა) ყოველი მამული მისთჳს, რომ შეეწეოდეს ყველას საცხო-ვრებელად, ამისგამო სამკვიდრებელი დამთენილი შემდეგ გარდაცვლილისა გადადის მის ნათესაობას და უნდა შეეწე-ოდეს ყოველ პირს იმ ნათესაობისას და არ უნდა მიცე-მდეს მსხვერპლად რამოდენსამე პირის მაგალითებრ ქალე-ბს. ეს იქნება წინააღმდეგ ნათესაობისა. წინეთ ეწერა ამ სტატიაში მოყვანილი სიტყვები თქმულნი გასამართლებ-ლად ამ წესების, ვითომც კაცს აქვს ვალი სახელმწიფო სამსახურისა, თუ კაცი ჴელმწიფეს და სახელმწიფოს, მიტო-მაც აქვს ხმა საზოგადოებაში, სახელმწიფოში, სამსჯავრო-ადგილებში, ჯამაგირი, ჩინი, ჯილდო და სხუა: გარნა ამი-ტომ სახელმწიფო არ უნდა აძლევდეს ნამეტან მონაწი-ეობას კაცს ქალზე, თუ მისცემს მაშინ არის შეცთომილება. ეკონომიურის სჳდულობით არ გამართლდება ეს წესნი, რომ ქალს ერგოს მეთოთხმეტე ნაწილი ძმებინაგან მამუ-ლი მიუცილებელია ყოველი კაცისათჳს საცხოვრებლად, ქალებისათჳს უმეტესი საჭიროა, მით რომ მათ უფრო საძნელოთ აქვსთ რჩენა და მოპოება საზრდოისა ვიდრე კაცს, რადგანაც ქალებისათჳს არი შეკრული საზოგადო-თანამდებობა და ფიზიკური ძალიც მათთჳს უმძიმესია, ამ სახით ეკონომიური განსჯა მიგვიყვანს იმ აზრს, რომ სამკჳდრო მამულიდგან ქალებს უნდა მეტი ერგებოდეს და არა უმცირესი კაცებზედ. გათანასწორება სამკვიდრო მა-მულისა ქალებთ და კაცებთ შორის გამოხატავს იმ აზრს, რომ თუმც კაცნი მოიგებენ ახლანდელის კანონით სამ-კვიდრებელ, მიტომაც კარგვენ ცოლის შერთვის დროს,

რომელთაც ერგებათ ცოლის მცირე ნაწილი. გათასწორე-
ბით მიიღებენ სამკალებას ბევრნი ქალნი, რომელთაც არ
უნდათ გათხოვება სხუა და სხუა მიზეზით და იქნებიან
თავის უფალი, ექნებათ შეძლება თავის რჩენისა უზრუნა-
ვათ, სადაც ეხლა არიან შეიწროვებულნი მცირე ნაწილით
ძველ დროებაში ქალის ცხოვრება ძლიერ დიდხანს თით-
ქმის ყოველი სახელმწიფოში დაჩაგრული იყო, მათ უყუ-
რებდენ როგორც ნივთსა სასარგებლოს მხოლოდ ერთის
პირუტყულის სიამოვნებისათვს, ქალში არასოდეს არ პო-
ებდენ ზნეობითი მხარეს, როცა ქალი ვისმე მიზეზით
გაუპატიურდებოდა, არათუ მისთვს წყენოდათ მათ მშობლებს
რომ მათი ზნეობითი ხასიათი წამხდარი, არამედ მიტომ რომ
როგორც ვაჭარი შრომობს, ნივთის კარგათ შენახვას არ
დაუარდეს და კარგათ გაჰყიდოს, ასე უყურებდენ ქალებს
ვეღარ გავყიდოთო და აღარ წაიყვანსო, ამისთანა მო-
სჯდულობა საზოგადოებისა იყო დიდი წინააღმდეგი ხა-
ნიდისისა: მათ არ უყურებდნენ როგორც კაცს, არამედ
დავარდნილ ცხოველს, რომელთაც არ შეეძლოთ კაცთას,
არათუ მისვლა ლაპარაკიც დიდი ცოდვა იყო, ჰქონდათ
მოსპობილი ყოველი საზოგადო გზა, იგინი უნდა ყო-
ფილიყვნენ სახლში და ქვლოთ შვლებისათვს ხცემდენ და აუ-
პატიურებდნენ ეს იყო მათი ხმა საზოგადოებაში, ასე გაში-
ნჯე საჩუქარი, რომელსაც მიიღებდენ იგინი თავისს სი-
ლამაზით იმას ნებაც არ ჰქონდათ თავის ნებისად სარგებ-
ლობის და სარგებლობდენ მათი ქმრები. ამზობდენ ვითომ
ქალნი იყვნენ დასჯილი ბუნებისაგან, რომ მათ არ შეეძ-
ლოთ იმ ნაირი საგნის სწავლა და მიღება განათლებისა

როგორც კაცს. ჩუენ მაგალითათ გიტყვით შორს არ მე-
კალით ისტორიაშია, თუ საფუძველი აქუს ამ ჰაზრს, რომ
ქალებსა ნიჭი არ აქუს სამოქალაქო დ~ სახელმწიფო საქმე-
ბშიო აი აიღეთ მაგალითათ: თამარ მეფე საქართველოისა,
კოროლევა ელისაბედ ანგლიისა, იზაბელა კასტილიისა,
მარია ტერეზია ავსტრიისა, იმპერატრიცა ეკატერინე მეო-
რე რუსეთისა დ~ ბლინაკა ლედა ლიუდოვიკის ასხ საფრა-
ნგეთის ხელმწიფოისა, კინც განისილავთ მათ გაჭირვებუ-
ბულ დროებთ დ~ შემთხვევებთ დ~ რა ნაირათ ჭკვიანათ
დ~ მართებულად დაიმორჩილეს ის განსაცდელები, მაშინ
ყველა დამეთანხმება, რომ ბევრნი კაცნი მათ ადგილს
მყოფნი წინეთ ამთისა, დ~ მერმეც შეიძლება ვთქვათ, მა-
გთენ მათ მსაჯულობა, დახამხნობს დ~ მართვა სახელმწი-
ფოსი წესიერათ არავის გამოუჩენია კაცთაგანს, ეს უნდა
ვიფიქრებიათ წინადელს, დ~ ახლანდელმა საზოგადოებამაც
გაარჩიოს ეს ნათქვამი მაშინ აღარ იტყვიან ქალის ჭკუა
ვერ მისწვდებაო სახელმწიფო საქმესო ეს მაგალითები ამ-
ტკიცებს იმ ჰაზრის სისუსტეს. რასაკვირველია, სადაც
ყოველი გზა მოკავებული ჰქონდათ ისინი დარჩებოდნენ უ-
კან კაცის ყოველ საქმეში. ესდეგ ამას გიტყვი ქალს, რო-
გორც გახსნილება ჭკვისა დანწავლა, აგრეთვე ფიზიკური
ძალი განურჩევლათ ერთი იქნება, ქალისა დ~ კაცისა, ყოვე-
ლი სიკეთე არი დამოკიდებული მდგომარეობაში, რაც
მდგომარეობაში ჩააგდებ ადამიანს ის დარჩება, იფიქრეთ
პატიოსანო წამკითხველნო! ამითასხნა ცხოვრებაში მყოფს დ~
დაჩაგრულს რაღა იმედი უნდა ჰქონდეს კაცს, რასაკვირვე-
ლია გონებაც, სვინიდისიც დ~ მისედულობა საგანზედ

დახშული შეიქნება, ამ ნაირი სიცოცხლე სიკჳდილის მსგავსია. ესლა დიდი სასიხარულო, სხჳა ნაირათ უყურებენ ქალის დანიშნულებას საზოგადოებაში, რას ბრძანებ! მიუდარებლათ უმეტესი საშვალება აქჳს ქალებთ საზოგადოებაში ცხოვრებასა როგორც ეკადრება მათ რიგს, თუმც მართალია ბევრი საზოგადოება ისევ ისე ძველებურებ უყურებს, მიზეზი ამისი არი გაუნათლებლობა საზოგადოებისა; იმედია როცა განათლება შევა ეს საზოგადოებაც დაკარგავს დაბრმავებულ ჭაზრს ცუდის დროებისაგან და შეხედვენ ქალთ როგორც თავის თანა ძმას და არა ცხოველს მცირეს კაცზედ, არ იქმნებიან შეკრულნი სახელმწიფო და სამოქალაქო საქმეში, თუ განათლებულია ქალი და სურს ხამსახური, რათ არ უნდა ჰქონდეს ნება სამსახურისა, ესლა თუ იტყვის ვინმე მათთჳს ძნელია, ისინი თხოვდებიანო, შჳლების დედა უნდა გახდესო, ესენი სიცრუე მით რომ იქნება ყველა ქალს არ სურდეს გათხოვება, და კიდეც გათხოვდეს მერმეც შეიძლება შემთხვევით ან სიქვრივეში ან სხჳა მიზეზით იმსახუროს ამიტო უკანონობა არი! არ მიუშვან ხამსახურში. ვაი ჩუენი ბრალი ვაი ჩუენი სირცხვილს! ჩუენი საკუთარი ერთ ხორცი ადამიანიშჳლი უნდა ასე გაიმულებდეთ და უყურებდეთ როგორც პირუტყვსა, დროა ვიცნათ თავი და დაუტეოთ წინანდელი სისუსტე და მივსცეთ ჩუენ ძმა ქალებთ თავის დანიშნულება ზოგადოებაში, ეს არის პირველი ბიჯი განათლებისა, სანამ ამას არ შეიტყობს მანამ იმას ძინავს და არ ცოცხალ არის.

ბესარიონ ღლენტი.

სახე, მველის დროების კაერილობის წე-
რილისა.

ღმერთ მთავარმან, სასიერმან, მიუწდომელმან, კაცთ-მოყვარემან, ქრისტემან უფლად ღმერთად და მედ ცნობილმან, მხოლოდ შობილმან და ვიდრე მცამდის ალმავალმან უფსკრულთა გამომკლეველმან და სივრცეს სოფლისასა გარე შემცველმან ქვეყნელთა მიმართ გამომძიებლობისა, შთამომავალმან, მრავალგზის ზეციერთცა საკვირველებათა წვლილადითა მოგონებითა განცდელმან, და ბუნებისა ღჳთაებითა გარე შემცველმან, და არა დამტევებელმან სახეთა ამიერ ჩუენთა შემსგავსებულმან, და კაცთა შორის ღჳთისა განგებულების მომღებელმან, ჩუენისა სასიერთსა მშვენიერებით, ყოველთავე ზიარ ქმნილმან, სიმდაბლისა ჩუენისა მომართ შეერთებულმან, და კეთილთა თჳსთაგანა მონათესავედ გამოჩინებულმან, ჩუენ მეფემან, საჩინომან, და კელმწიფემან წარჩინებულმან, უძლეველმან და ყოვლად ძლიერმან, ჭშჯულმან ამოსიანმან, წარმართებამან აარონიანმან, სიმხნემან იესიანმან, გულ კეთილობამან დავითიანმან, სიბრძნემან სოლომონიამან, ნათესავ კეთილობან

იესიანმან, სიმრთელემან აზნაურისამან, ცხებულებამან ხამეილისნმან, მეფეთ მეფემან პატრონმან ლუარსაბ, და აწ ძენი ერთგულნი და თანა მკვიდრნი პადატას ჩუჩნისა პარპათაშვილი იოთამ გიორგის შვილი და ორბელი იურებოლეს დაუსხით დარბაისელნი და თავ ჩინებულნი თავადნი, ერისთავი ბიძურ, ციციშვილი ქაიხოსრო ამირეჯიბი ქუცნა. მანაბელი ქაბულ გაბაშვილი გიორგი და ასრე რომ სხჳაც მრავალი გაესამართლა და აწ ეხლებიც ასრე გავუარეთ ლუთისა მიმ ქვემ და გამოჩენილის სამართალს ქვეშე. ერგო იოთამს საუხუცესოდ ჩხიკვაშვილი მამაც დღეს რისაც მამულის მქონებელი არის, ლუარსაბ. მისჳდა იოთამს ჯანიაშვილი როსტევან დღეს რისაც მამულის მქონებელი არის, ლუარსაბ. მისჳდა იოთამს დამანის ციხეში სასათვალოდ დმანისით ლუკის მმობლის ნასყვარი, და კარის ბჭე. მისჳდა იოთამს დმანის ციხეში საუხუცესოდ დემეტრე დეკანოზი, და ოცდა თექვსმეტი კომლი 36. (ამათი სულ სახელები ჯსწერია) სანდამის შვილის სახლი, მიგნით სახლი, სათორნე. ერთი მარანი, ერთი ქვევრი დგას. სხვილ წვრილი თვრამეტი, საჯინიბო, კარაპანი, ეზო, სახლელი ამისის ქმას ყარაგოზას სახლ კიდევ მიგნით, სახლი, ბოსელი, ლერწოვანი ეზო და სამიბური, მისჳდა იოთამს ციხეში თათარი ალიბეგ რისაც მქონებელი არის, კიდევ აქვე. 30 კომლი თათარი, სომეხი და ქართველი (სუყველას სახელები ჯსწერია) მამულებით, დმანისის ნასყვარი და საუხუცესო.ქ. მისჳდა იოთამს მანავკერატს საუხუცესოდ სასახლე, კომილ. გამგებლითა დღეს რისაც მამულის მქონებელი და ოცი კომლი კაცი 20.) (სულ სახელები ჯსწერია)

სხჳა ნახევარი და საუხუცესო. ქ. მიხუდა იოთამს საუხუცესოდ აკაურთის კომლი გამგებელი ზურაბა დღეს რისაც მამულის მქონებელი არის და 31 კომლი მამულებით (სასულები ჯსწერია) აკუფის, ამირახაი რომ ჩამოივლის წყაროამდის, ჯანჯღრის იქით წმიდის გიორგისაკენ აგრან, ბეგაული ვენახი წყაროს თავს ბალჩის ნახევარი აკაურთის ნახევარი და საუხუცესო. ქ. ა. მიხუდა იოთამს საუხუცესოდ ფიტარეთს თავის საყდრის ნახევარი, ზეითი მხარი გარეთ ორმოცთ ეკლესია სხჳა წილად ვეინა შხლი ნიკოლოოზ დღეს რისაც მამულის მქონებელი არის, წამალაშვლი რისაც მქონებელი არის გიდეგ სხჳა გაყიკაშვლი რისაც მქონებელი არის გოგოჭიშვლის გარდის ნახევარი და საუხუცესო ქ. მიხუდა იოთამს გომარეთს იორდანე სჩეესი. დღეს რისაც მქონებელი არის, გიორგი გამგებელი დღეს რისა მქონებელი არის, და 14 კომლი კაცი თავისით მამულებით, გომარეთი მისის მთითა და ველითა. ლიპირიტისამა მისის მთითა და ჭალითა. ქ. მიხუდა იოთამს საქიმსანს. 8 კომლი კაცი თავიანთ მამულებით—ამასის მთითა და ველითა და ყოვლითა შესავლითა. ქ. მიხუდა იოთამს ანგრევანს 10-ი კომლი კაცი, ანგრევასი მისის მთით და ველითა. ქ. მიხუდა იოთამს ჩინჩახაურს 3 კომლი კაცი, თავიანთის მამულით და ქონებით, ქ. მიხუდა იოთამს დიდმანშენს. ექუსი კომლი კაცი 6 თავიანთ მამულებით—ნახევარი და საუხუცესო. ქ. მიხუდა იოთამს მუტვისს, საუხუცესოდ ფიჩუა შხლი დღეს რისაც მქონებელი არის. წილად მიხუდა 2 კომლი მამულებით. ქ. მიხუდა იოთამს საუხუცესოდ ვარმაგარს 23 კომლი

კაცი რისაც მქონებელნი არიან, გარშაგირის ნასოფლარი და საუხუცესო. ქ. მიხჳდა იოთამს ქვაბევანს საუხუცესოდ. 4 კომლი. სხჳა წილად 12 კომლი, თავიანთის მამულებით [illegible]ევნის ნასოფლარი და საუხუცესო, ქ. მიხჳდა იოთამს განთა ექჳსი 6 კომლის კაცით მთითა ველითა და ყოვლითა შესავლითა. ქ. მიხჳდა იოთამს, შაგთგოზს, 5 კომლი კაცი, თავიანთის ქონებითა და სოფელი მთითა და ველითა და ყოვლითა შესავლითა. ქ. მიხვდა იოთამს მარაბდას 2 კომლი კაცი. და სოფელი მთითა და ველითა და ყოვლითა შესავლითა, ქ. მიხჳდა იოთამს უკან გორს. 2 კომლი კაცი რასაც მქონებელნი ყოფილან მით. ქ. მოხჳდა იოთამს ქვემო თაგუთი მისის მთითა და ველითა. ქ.—სული მისის მთითა და ველითა, ქ. ლორაშენი მისის მთითა და ველითა ქ. ფარაქევის ნასოფლარი, მალამ ხსილის ნასოფლარი, ქ. გელდი გისხნის ნასოფლარი. ქ. ალუმრე მისის ცისითა, მისის მთითა და ველითა, ყარაშის ნასოფლარი, ქ. ქუდის ეკლესიის ნასოფლარი. ქ. იაღლუზია მისის მთითა და ველითა, ქ. სულგედიანის ნასოფლარი, ქ. გლა სოფლის ნასოფლარი. ქ. ქეთილაშენის ნასოფლარი, ქ. სანზოძაორის ნასოფლარი. ქ. ჩირგმეშენის ნასოფლარი. ქ. ქერანდენის ნასოფლარი. ქ. კოტჩა წეგლეციას ნასოფლარი ქ. ქერანდენის ნასოფლარი მისის მთითა და ველითა, ქ. ყამიშის სოფლის ნასოფლარი. ქ. სრულად ლოქის მთის ნასოფლარი და საუხუცესო. ქ. მიხჳდა იოთამს მიჯას თათარი 17 კომლი თავიანთის მამულებით (ყველას სახელები ჭსწერია) ქ. ყადრუ ელის ნასოფლარი, მისის მთითა და ველითა, ქ. ყარაქილისის ნასოფლარი. ქ. გოგალჩელის ნასო-

გარი. ქ. ქვემო ორობზმნის ნასხვარი, ქ. ზემო ორობზმნის ნასხვარი. ქ. უზემა ფრამადის სოფელი მისის მთითა — ჯ სხუა. . . . . . . . .

# ალექსანდრე მაკედონელი.

ვის არ წაგიკითხავთ ალექსანდრე მაკედონელის ისტორია, ვის არ გაგიგონიათ სიცოცხლე მისი? ყოველი ფურცელი ისტორიისა მისისა არის სავსე საკვირველისა მოქმედებითა მისითა.....ალექსანდრეს არა ჰქონდარა კაცობრიობისა: თჳთონ ქონდა ყოველი დასამთენი მორჩილება.

ღამე იყო მთვარიანი და ცის კამარა შეჭედილი ვარსკვლავებითა. მაგრამ საბერძნეთის ქალაქი ათინა არა საჭიროებდა იმ ჟამად ცის მნათობლებში: თჳთ უმჯობესად იყო შემოსილი და უმეტესად აღგზნებული ჩირაღდნებითა, ხალხი, ვით აღელვებული ზღვა, მიდიოდა და მოდიოდა დიდის ხმიერებით.—მიზეზი ამა დღესასწაულებისა იყო ჯვარის დაწერა იმ ღამეს ალექსანდრე მაკედონელის დისა ფესალინასი თავის დედის ძმაზედ ეპირის მეფეზედ.

მრავალნი სამღვდელონი გალობით მიუძღოდნენ ახალ მექორწინებთა. ფილიპე, ალექსანდრეს მამა, თვით ალექსანდრე და ამალა შემოსილნი უმდიდრესითა ტანისამოსითა, მოჰსდევდნენ ამათ უკან მხიარულებით.—ყურ სასახლის

კიბეზედ სუყველანი არ ასულიყვნენ, უეცრად მოესმათ მათ შუასიდგან ამოსკვნა. შეიხედეს — ფილიპე ეგდო უკვე დედამიწაზედ სისხლში მოსვრილი და ხანჯალი გვერდში ჩარჭობილი.

ის შეიტანეს სასახლეში, ხოლო პავზანისათჳს, რომელიც მაშინვე გაჰქრა და რომელზედაც შეიტანეს ეჭვი, გაგზავნეს მდევარი. მსწრაფლად დაიჭირეს ის, მაგრამ ალექსანდრემ, რა აღარ დაცალა მას ხმის ამოღება თავის გასამართლებლად, გააპო თავის ხმლითა.

ფილიპეს სიკჳდილმა და ალექსაადრეს მცირე წლოვანებამ გააბედვინათ ბერძენთა მოეხსნათ უღელი მაკედონელთ მონებისა; მაგრამ ალექსანდრემ შეკრიბა ჯარი ასპარეზსა ზედა ქალაქისასა, დაადგო მიწაზედ ფარი, შედგა მაზედ და წამოსთქო მრისხანის ხმით:

— «ფილიპე მოკჳდა; მაგრამ მფლობელობა მისი არ მოკჳდება, მანამდისინ იმის შვილს ხელში უჭირავს რკინის სკიპტრა მახვილის წვერით!»

— ურაა! და იცოცხლოს დიდხანს მეფემ ალექსანდრემ! შეჰყვირა ჯარმა და მიადევნა ხმა ხალხმაც. —

«მამა ჩემსა ჰქონდა განზრახულება ბაბილონის დაპყრობისა, განაგრძელა ალექსანდრე მაკედონელმა, და მე მოვიყვან იმის განზრახვას სისრულეში. — ბრძანა — და ოცდა ათი ათასი გამოცდილნი ომში მხედარნი ჩამწკრივდნენ მის დროშასა ქვეშ. — მოადგნენ ბაბილონს. ამა ქალაქის მთავართა მიართვეს კარის გასაღები უბრძოლოდ, უწინააღმდეგოთ. მხოლოდ ერთმა მოხუცებულმა მღჳდელთ მთავარმა გაბედა ხმის ამოღება: გამოიტანა მან ტაძრიდგან

ხატი მზის პირი და ჩაუარა ქალაქსა ღაღადებით. მას სურდა აებუნტებინა ხალხი; მაგრამ მისი შრომა დარჩა ამაოდ; ჯარი ალექსანდრესი მალე გამოჩნდა ქალაქში.—მოხუცი შევარდა ტაძარში; ჯარი ეკკლესიას გარს შემოერტყა.

ღამით ალექსანდრემ უბძანა მოხუცისა ამოყვანა ტაძრიდგან და დასჯა მისი.

—დამაცალეთ გამოვესალმო ჩემს ქალსა, დამაცალეთ ვაკურთხო ჩემი ზენდა! ჰსთხოვა მღჳდელთ მთავარმა.

სურვილი მოხუცისა აღასრულეს.

მოიყვანეს ასული მისი. ის მოეხვია მამასა. მოხუციც ჰკოცნიდა მას თვალებში.—

—ნუ ჰსტირი!—ეუბნებოდა მამა ჩურჩულით,—ნუ ჰსტირი, მე მოვკჳდები, შენც მოკვდები, ალექსანდრეც მოკჳდება, მხოლოდ სიყვარული და სიმტერე არ ისოცებიან... თუ რომ მათზედ არ არის ჯვარი ამოყრილი. ნუ ჰსტირი ზენდა! შენ გიანდერძებ შემარიგო მე ალექსანდრესთან, რათამცა მულვილება ჩემი მისდამი არ გადაგუვეს სამარეს იქით—საიქიოს... შურის ძიება ასულისა შეარიგებს ჩემს მტერსა ალექსანდრეს მტერთან.... აი მარცვალი სიკჳდილისა; ეს ერთიკი მე... შენთჳსა და ალექსანდრესთჳს საკმაო არის ეგ ერთიცა,.. მშჳენიერება შენი მიგიყვანს შენ ალექსანდრეს საწოლთანა... მიგიყვანს!... მაგრამ შენ დაისველე ტუჩები ამ მარცვლითა და ეამბორე ალექსანდრესა, ასულო ჩემო! მოეხვიე!... შენ მაინც არ გიწერია ქალწულობით სიკჳდილი!...

—მამაო! ძლივს წარმოსთქჳა ზენდამ, და ახლოს იყო გულის შემოყრაზედ

—აილე, აილე! მოდიან! გესმის: შენთჳს არ არის სასოწარკვეთილება... ყმაწჳლი არა ხარ, ზენდა! ნუ აფრქვევ ცრემლთა, მოიგროვე იგინი გულში... მშჳდობით! გახსოვდეს ანდერძი მამისა!—

მოხუცმა ჩაულაპა მარცვალი და მიიგრა ქალი გულზედ.

იხინი განაშორეს.

დამაცადეთ!—ჰსთქჳა მოხუცმა ყრუს ხმითა,—ნება მომეცით დავემხო მე ღჳთის წინაშე, დამაცადეთ ვაკოცო დედამიწასა, რომელზედაც გავიზარდე და რომელიც დამფარავს მე!

მოხუცმა დაიკრიფა გულზედ ხელები, დაემხო შუბლით მიწასა გამოხატულის მზის წინაშე... განვლო რაოდენმამე წამმა—ის არ ადგა.

—ასწიეთ! უთხრა ეფისტონმა რომელსაც ებარა მოხუცის დასჯა.

მხედართ უნდოდათ აესრულებინათ ბრძანება; მაგრამ ყოველი ასო მოხუცისა გაქვავებულიყო; მხოლოდ ქაფი ამოსდიოდა ცივის პირიდგან.

მკითხველნო! გახსოვთ ზენდა? შეხედეთ როგორ გამოდის ტაძრიდგან: ფერმისდილი, თავდაღუნვილი, გრძნობა წასულივით,—არა ჰსტირის, მამამ დაუშალა იმას ტირილი. ის არა გრძნობს, რომ თავსაბურავი არა ჰფარავს მშჳენიერებასა მისსა უცხოს ხალხის თვალთაგან... ვისთან არა მიაწევს ანბავი, რომ ზენდა მშჳენიერი არის, რომ მას არა ჰყავს მსგავსი მთელს საბერძნეთში?

რა ბაბილონი დაიპყრო, ალექსანდრე გამობრუნდა. მას მოახსენეს, რომ სხჳა ქჳეყნის მეფა მობძანდება.—რა

მიახლოვდა ალექსანდრეს ბანაკსა ხამახის ცხენზედ მჯდომნი—ქალებით, მან გაუგზავნა ალექსანდრეს კაცი სათქმელად, რომელ მეფას სჳრს ნახვა მისი და მოვლის ამაზედ მის ნებასა. ალექსანდრემ ბძანა მისი მოწვევა ხოლო თჳთონ ჩაიცვა თეთრი მეფური მანტია და მიეგება მას კარებზედ.

მინოზიამ, ამპარტავნის ცხენით მიაჭენა კარებთან თავის ამალათი. ეს უნდა იყოს ხამხედროს ღმერთა სრულის შეჭურვილებით, გატიტვლებულის მარჯვენის მკლავითა და მხრითა! ჰფიქრობდა ალექსანდრე, როდესაც ჩამოუვანდათ მეფა[illegible] ცხენითგან.

თქჳენა ბძანდებით ალექსანდრე ფილიპეს ძე? ჰკითხა ქალმა, და მიანდო მას ისარი ჩალის შუბით, ნიშნად მშჳდობიანობისა და მეგობრობისა.—შენ ისა ხარ, რომელსაც ადიდებენ მეფეთ მეფეთა?

ალექსანდრემ შეიყვანა სახლში და სთხოვა დაბძანდეს.—მინაზია დაჯდა, დაყარა ბალიშზედ მშვილდი და ისარნი, გაიხადა ჩაჩქანი, შეიყარა მხარზედ მშჳენიერნი წაბლის ფერნი კავები, რომელნიც ჩამოსდიოდნენ პირზედ; ატლასის ფერმა შეითამაშა მის ლოყებზედ....

მე გიახელ თქჳენთან საქმის გამოისობით... უთხრა ქალმა, რა დაუწყო შინჯვა ალექსანდრეს თავით ბოლომდის და თითქმის სიამოვნებდა მის მშჳენიერებითა.

—საამურს გალად შევრაცხამ ალგისრულოთ ყოველი სურვილი თქჳენი, მშჳენიერო მინიზიავ, უპასუხა ალექსანდრემ.

—მე დავიღალე: რა გამოვიარე ოცდა ხუთის დღის

სავალი. მაღლა ლაპარაკი არ შემიძლიან, დაჯექით ჩემს სიახლოეს.

ალექსანდრე მიუჯდა, და მინაზიამ რაღაც უთხრა ყურში ჩუმათ.

—დიდის კმაყოფილებით! უპასუხა ალექსანდრემ, რა მოისმინა ყურადღებით,—დიდის კმაყოფილებით, ყოველთჳს, როდესაც გნებავსთ, თუნდა ესლავ...

—არა, თუმცა დროება არ უნდა დავკარგოთ, მაგრამ ამბობენ, მითომ სიჩქარით საქმე არ გაკეთდებაო. მე გზამ დამღალა. ჯერ დამასვენე... აგრეთვე გთხოვ მოუარონ ჩემს სამასს ქალთა, რომელნიც თან მახლავან.

—ყოველივე იქმნება აღსრულებული თქუჱნის სურვილისამებრ, მინაზიავ; ისინი შეიქმნებიან სრულიად კმაყოფილნი. ჩემნი მაკედონელნი თავიანთ სისხლსაც არ დაიშურვებენ მათთჳს.

—დარწმუნებული ვარ მაგაზედ; გარნა იმაზედაც ვარ დარწმუნებული, რომ არცა ერთი წვეთი იმათის სისხლისა არ მორწყავს უმადურს მიწასა.

ალექსანდრემ მიაწოდა ხელი მეფასა და შეიყვანა ის დანიშნულთა მისთჳს მდიდართა ოთახებში, სადაცა ყოველი სუნთქამდა განცხრომითა და სიგრილითა. რა მინაზია შევიდა საბანებლად აბანოში და გამოვიდა იქიდგან შეხვეული თეთრი წმიდას სასურავში და მიწვა ყურთაუგზედ... ოო! მაშინ ის არ იყო ამ ქუჱყნის შვილი... ის იყო მოვლინება ხალხის შესაცთომად!... არა, არარაჲ დაჰფარავდა ადამიანს მოტყუებისაგან, არც ფარი ღამისა, არცა გული ფიქალისა, არცა უგრძნობლობა მკვდრისა... დაგმხე, ალექ-

სანდრე, ფერხთ წინაშე მისსა ხრმალი და საჭურავი შენი და თჳთონ შენც დაემხე დამმარცხებელის წინაშე: მას ჰფა-რვენ ყოველნი კეთილნი და ბოროტნი სულნი... ის არის ქალწული, შეჭურვილი ყოვლის ქჳეყნიერების მოსატყუე-ბელითა!...

ნამდვილი მიზეზი მინაზიის მოსვლისა ალექსანდრესთან არავინ არ იცის; მხოლოდ ჰსჩანდა, რომელ სამ დღემდის ის არ იყო კმაყოფილი ალექსანდრეს მიღებითა.

გაკვირვებულვარ! ეუბნებოდა მინაზია თავის საყვარელს მოახლეს.

—მართლაც მოგახსენოთ, ქალბატონო. მეც არა მეს-მისრა, და არც ვიცი რათ გეხალისებათ თქჳენის თავის წვალება ტყუილად?... მისგან ვგონებ თქჳენ სრულებით ვერას მიიღებთ. მე გირჩევთ წარვიდეთ ალანის მეფესთან ფანზალთან.

—არა, ჩემო მეგობარო, მე კვალად გამოვსცდი ბედსა, უპასუხა მინაზიამ.

—როგორც გნებავსთ, ქალბატონო, ჩემთჳს აქაც კარგია.

—შენ ბედნიერი ხარ, შენ საქმეში გაჭირება არა იქნე-ბარა; როგორც პეპელა შენ შეგიძლიან გადაფრინდე ერ-თის ყვავილიდგან მეორეზედ. წადი, მე დავშთები მარ-ტოკა, მე ველი აქ ალექსანდრესა.

—მსურს თქჳენთჳს წარმართება. მოახსენა მოახლემ და გავიდა.

ამ სახით ჰსწუხდა რაღაზედაც მინიზა. კვალად გავიდა რამდენიმე დღე, და ჰსჩანდა, რომ მინიზია შექმნილიყო კმაყოფილი; მაგრამ ფერი მისი ცოტათ ჩამქრალიყო, თუა-

ლნი ჰსჩანდნენ დალალულივით, და ესუსტებოდა თითქმის უძილობისაგანა.

—დრო არის ადგომისა, ქალბატონო, უთხრა მას ერთხელ თავის საყვარელმა მოახლემ, რა შევიდა მასთან დილით ადრე,

—დაიცადე ორიზავ! უთხრა მინიზიამ, რა ჩაიღუნა თავი გულისადმი და ჩაუშო თოვლებრივ თეთრი ხელები საწოლიდგან, დამაცადე ცოტა კიდევ შევიწყებაში შემდეგ ტკბილისა ძილისა... რა ნეტარებაა განცხრომა განღვიძებისა!... წარმოიდგინე ორიზავ! ვის ეგონებოდა, რომ ის ყოფილიყო უმანკო, როგორც უმაწვლი... ჰო, თუ რომ გენახოს, რა კაპასია ახალგაზდა ლომი, როდესაც იგი იგრძნობს თავის ძლიერებასა!...

სიტყუათა შინა მინიზიისა იყო რაღაც სიტკბოება. მინიზიას ჯერ არ გაეთავებინა თავის ლაპარაკი, მას მოახსენეს, რომ ალექსანდრე ელის მას ბაღში.

რა წამოისხა მდიდარი შალი მხრებზედ და დაიდგა თავზედ გვირგვინი, მინიზია ჩავიდა ალექსანდრესთან, ის მიეგება და აკოცა მის ნარნარს ხელსა, მინიზიამაც აკოცა მას ლოყაზედ... ეს ჩვეულება დიდის ხნიდგან არის დადებული.

—როგორ განატარე მინიზიავ?

ფერმა შეითამაშა მის ლოყებზედ, ნარნარმა თვალებმა შეიმცინარეს, მაგრამ ჩქარა წამწამნი დაეშვნენ.

—მე წასვლას გაპირებ ალექსანდრე, კარგა ხანია შენთან ვისტუმრე.

—არ შემიძლიან გაგიბედოთ, დაშთეთ რამოდენიმე ხანი გვალად ჩემთან. აქაური სიცოცხლე ქალთათჳს საამურ იქნება.

—ის ქალი ბედნიერია ყოველთჳს, ვისაც ნება აქჳს-თქჳენთან დროების გატარებისა, დ̃ კიდევაც ვარგახსანს დავრჩებოდი აქა, თუ რომ საჭიროს საქმეებს არ მივე-შურებოდე ჩემს სახელმწიფოში.

ჩქარა ყოველი ფერი მზათ იყო წასასვლელად; მინიზია გამოესალმა ალექსანდრეს, დაუმადლა სტუმრობისათჳს დ̃ უთხრა ჩუმათ: «თუ რომ ქალი იქნება—ჩემია, დ̃ თუ რომ ვაჟი შენი. მშჳდობით!»

ისარივით გაჰსწია მინაზიამა; რომელსაც აცილებდა სამასი ქალი, დ̃ გაჰქრა ვით სიზმარი, ჩაეფარა ვით მზე მთასა.

თუმცა გულმაგრად გამოესალმა ალექსანდრე ქალსა, მა-გრამ დიდხანს დაფიქრებული უყურებდა ის იმ გზასა, რომლისაკენაც გასწია მინიზიამ.—

ერთმა კარის კაცმა შეამცნია ესე დ̃ უთხრა: «შენ შემძლებელ დ̃ ძლიერი ბძანდები, უბძანე მოლექსეთ შეიკრიბნენ შენთან.

—რაჲსათჳს ჰკითხა? ალექსანდრემ.

—შეგითხზონ ლექსი განშორებაზედ ვარდის ბულბუ-ლისაგან დ̃ უწოდე ამ ადგილსა ხოფლად მწუხარებით გა-ნშორებისა.

—მართალს მეუბნები, წარმოსთქუა ალექსანდრემ გონე-ბა დაფანტულიჲთ. მაგრამ ზენდა უმჯობესია მაზედ! ჰსთქუა თავისთჳს ალექსანდრემ, დ̃ უბრძანა მისი მოყვანა.

—ზენდავ! უთხრა მან ქალსა, რა შევიდა ის თეთრის ტანისამოსით, დაწყნარდა თუ არა შენი მწუხარება?

—ცოცხალია ჩემი მეხსიერება, ცოცხალია ჩემი გული-ცა... უპასუხა ქალმა.

—მე მიყვარხარ შენ, ზენდავ!

—ვმადლობ ღმერთსა კეთილის გრძნობისათჳს, მაგრამ ნუ შერისხამთ ჩემთა მწარე მოგონებათა!...

—ზენდავ... იყავ მეფად მრთელის ქჳყნისა!... გაიხადე ეს სამწუხარო ტანისამოსი! მხოლოდ ერთხელ უნდა აღასრულო შენ ჩემი ნება, და შემდეგ დამიპყრობ მეცა და ხმელეთსაცა!...

—მე მონა გახლავარ თქჳნი... და ვითარცა მონას ნება მომეცით წავიდე ვილოცო მამიჩემის საფლავზედ... მივიღო ჩემზედ კურთხევა მისი... მზის ტაძარში მიმიღია ესე წმიდა ტანისამოსი, მხოლოდ ტაძარშივე შემიძლიან გავიხადო....

ტაძარი მზისა ყველგან არის; სული მამისა შენისა დაგტრიალებს, შენ ილოცე მას ზედა, ზენდავ, გაიხადე თეთრი ტანისამოსი; მე ჩემის ხელით შეგმოსამ წითლით.

—არა, არა, ალექსანდრევ! ბაბილონში უნდა!—წარმოსთქო ზენდამ მრთოლვარის ხმითა, მიიფარა პირზედ ხელი და დაიწყო ტირილი.—

—ნუ სტირი, ზენდავ, ნუ სტირი, უთხრა ალექსანდრემ და ააღებინებდა პირიდგან ხელსა, მე აღვასრულებ შენს ნებასა, აღვასრულებ!....

ცრემლით დასველებული პირბადე მიეკრა ლოყებზედ... ტუჩებზედ... სახე გამოუჩნდა... თვალნი!... სიტყჳა აღარ იპოვება!...

ზენდა გამოვიდა, ალექსანდრე ვეღარ აშორებს თვალთა იმ ადგილიდგან, სადაც ის იდგა.

მაგრამ უეცრად თვალნი მისნი აიგზნენ.

—ინდოეთში, ინდოეთში!— შეჰყვირა მან! დასტა

მხედართა ახლადვე ჩარიგდნენ დროშათ ქვეშ. ალექსანდრე შეუდგა შავს ბედაურზედ და გასწიეს.

გ. რჩ.